


თენგიზ ირევაძე

ახალი დროის
ქართული ფილოსოფია

სისტემური მონახაზი
მისი სემინარიის გასაგებად



1(479.22)
ი-46

თენგიზ ირემაძე

ახალი დროის ქართული ფილოსოფია
სისტემური მონახაზი შინა
საუციუიკის განსაზგაგად



Tengiz Iremadze

EARLY MODERN GEORGIAN PHILOSOPHY
A SYSTEMATIC OUTLINE TO
UNDERSTAND ITS SPECIFICS

თბილისი 2020 Tbilisi

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივი

NEW GEORGIAN UNIVERSITY
Archive of Caucasian Philosophy and Theology

რედაქტორები:

პროფესორი, დოქტორი მიხეილ გოგატიშვილი
პროფესორი, დოქტორი ლალი ზაქარაძე
პროფესორი, დოქტორი გიორგი ხუროშვილი

Editors: Prof. Dr. Mikheil Gogatishvili
Prof. Dr. Lali Zakaradze
Prof. Dr. Giorgi Khuroshvili

რეცენზენტები: პროფესორი, დოქტორი უდო რაინჰოლდ იეკი
პროფესორი, დოქტორი ჰელმუტ შნაიდერი

Reviewers: Prof. Dr. Udo Reinhold Jeck
Prof. Dr. Helmut Schneider

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი
Cover design and Book layout: Giorgi Bagrationi

პირველი გამოცემა, 2020
First Edition, 2020

© კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივი, 2020

© Archive of Caucasian Philosophy and Theology, 2020

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“, 2020

ISBN 978-9941-8-2898-0

სარჩევი

წინათქმა	7
I. მეთოდოლოგიური განაზრებანი	11
ქართული ფილოსოფიის დასაწყისი	13
მეთოდოლოგიური ცრურწმენები	15
ტრადიცია და ინოვაცია	20
რეცეფცია და ტრანსფორმაცია	22
საგანმანათლებლო სპეციფიკა	26
ფილოსოფიურ თხზულებათა სათაურები	29
თეორია პრაქტიკაში	33
ევროპული ფილოსოფია საქართველოში	36
თეოდიციის პრობლემა	40
II. ახალი აზროვნების მოდელები	45
ფილოსოფიის დარგები	47
ფილოსოფიური ღვთისმეტყველება	64
სულხან-საბა ორბელიანი – ცოდნის სისტემატიზების ცდა	68
ანტონ პირველი – „ევროპეიზმი“ ქართულ ფილოსოფიაში	76
იონა ხელაშვილი – ფილოსოფიური ღვთისმეტყველების მოდელი	83

III. კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტი	89
კავკასიური ფილოსოფიის იდეის აქტუალობა ...	91
კავკასიური ფილოსოფიის დაფუძნება	93
კავკასიური ფილოსოფია ევროპაში	104
ბოლოქმა	113
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	117
ბიბლიოგრაფია	125
სახელთა საძიებელი	129
საგანთა საძიებელი	135
ავტორის შესახებ	139

CONTENTS

Foreword	7
I. Methodological Considerations	11
The Beginning of Georgian Philosophy	13
Methodological Superstitions	15
Tradition and Innovation	20
Reception and Transformation	22
Educational Specifics	26
Titles of Philosophical Works	29
Theory and Practice	33
European Philosophy in Georgia	36
The Problem of Theodicy	40
II. New Models of Thought	45
Fields of Philosophy	47
Philosophical Theology	64
Sulkhan-Saba Orbeliani: An Attempt to Systematize Knowledge	68
Anton I: "Europeanism" in Georgian Philosophy	76
Iona Khelashvili: A Model of Philosophical Theology	83

III. The Context of Caucasian Philosophy	89
Relevance of the Idea of Caucasian Philosophy ...	91
Founding Caucasian Philosophy	93
Caucasian Philosophy in Europe	104
After-word	113
Summary	117
Bibliography	125
Author Index	129
Subject Index	135
About the Author	141

წინათქმა

ეს წიგნი ეფუძნება ახალი საქართველოს უნივერსიტეტში 2017 წლის ზაფხულის სემესტრში წაკითხული ლექციების კურსს – „ახალი დროის ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველება“. თავდაპირველად ლექციების ეს კურსი აუდიოჩანაწერის სახით გავრცელდა, ხოლო შემდეგ გაიშვირა, ქალაქებში იქნა დატანილი და მისი პირველადი ვერსიაც მომზადდა. ამის შემდეგ გაშიფრული პირველადი ვერსიის საფუძვლიანი რედაქცია განხორციელდა.

ზემოთ ნახსენები ლექციების კურსში მთავარი ყურადღება დაეთმო ახალი დროის ქართული ფილოსოფიის სპეციფიკის გამოკვეთას, რის გამოც საჭირო გახდა მისი კომპარატივისტული ანალიზი და ინტერპრეტაცია. ვფიქრობთ, ამ წიგნში დასახული ეს კვლევითი მიზანი მიღწეული იქნა, რადგან ახალი დროის ქართული ფილოსოფიის სისტემური სურათის არაერთი უცნობი დეტალი წარმოჩნდა და გამოიკვეთა.

ეს წიგნი არ არის ახალი დროის ქართული ფილოსოფიის ისტორია. ამის შესახებ უკვე არსებობს ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის კვალიფიციური სამეცნიერო კრებული: „ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები (XVIII საუკუ-

ნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე), კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თენგიზ ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ.

წინამდებარე წიგნი არის წინა წელს გამოცემული ჩემი მონოგრაფიის – „შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად“ (თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2019 წ.) – ქრონოლოგიური გაგრძელება, რადგან აქ ქართული ფილოსოფიის ახალი ეტაპისა და პერიოდის სისტემური ანალიზია მოცემული. ამდენად, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ახალი დროის ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის ადგილის განსაზღვრის მიზნით შექმნილ სისტემურ მონახაზს. ფილოსოფიის ისტორიული მასალა კი ამ წიგნში იმდენად არის მოხმობილი, რამდენადაც ის მასში დასახული ძირითადი კვლევითი მიზნის შესასრულებლად საჭირო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აზროვნების ისტორიის სხვადასხვა ეპოქებად დაყოფა პირობით ხასიათს ატარებს (რაც იმას არ ნიშნავს, რომ სხვადასხვაგვარი დაყოფაა შესაძლებელი!) და საიმისოდ არის საჭირო, რომ ცოდნის სისტემატიზება მოვახდინოთ. ცოდნის სისტემატიზება მეცნიერული კვლევა-ძიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

წინამდებარე წიგნს თან ერთვის ბიბლიოგრაფია, რომელიც მოიცავს ბოლო ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ჩემს სპეციალურ გამოკვლევებს ახალი დროის ქართული ფილოსოფიისა

და მისი წარმომადგენლების შესახებ. ამ ბიბლიოგრაფიის შედგენა იმითაც არის განპირობებული, რომ ამ წიგნში წამოჭრილი თეზისებისა და იდეების დაკონკრეტება და განვრცობა სწორედ ზემოთ ნახსენები გამოკვლევების მეშვეობითაც არის შესაძლებელი.

დაბოლოს, მადლობას ვუხდით ქრისტიანული ფილოსოფიის მაგისტრებს, ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის მკვლევრებს, ბესიკ მაშავასა და ნიკოლოზ კოპალეიშვილს, რომლებმაც ზემოთ ნახსენები აუდიოჩანაწერი გაშიფრეს, ქალაღზე დაიტანეს და გაშიფრული ვერსიის პირველადი რედაქცია განახორციელეს. სწორედ მათი დიდი მონდომებისა და მონადინების შედეგაცაა, რომ ლექციების ამ კურსმა ახალი დროის ქართული ფილოსოფიისა და ფილოსოფიური ღვთისმეტყველების შესახებ წინამდებარე წიგნის სახით დღის სინათლე იხილა.

თენგიზ ირემაძე

9 ოქტომბერი, 2020 წელი

**I. მეთოდოლოგიური
განაზრებანი**

ქართული ფილოსოფიის დასაწყისი

ქართული აზროვნება დიდწილად განსაზღვრა ქრისტიანულმა კულტურამ. ქართული ფილოსოფია კი, თავისი არსით, ქრისტიანული ფილოსოფიაა. მაშასადამე, მისი საკუთრივი (და)საწყისი ქრისტიანობაშია საძიებელი! ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ აქ ქართული აზროვნებისა და ქართული ფილოსოფიის დასაწყისზე ვისაუბროთ!

შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქრისტიანობაში ქართული ფილოსოფიის დასაწყისზე, თუმცა, საკუთრივი დასაწყისის (როგორც აზროვნების მთავარი მამოძრავებელი იმპულსის) შესახებ საუბარი ქართული ფილოსოფიის კონტექსტში სადავო იქნებოდა; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ქართული ფილოსოფია ნაკლოვანი ბუნებისაა! არა! საკითხი ასე უნდა დაისვას: ფილოსოფოსის მთავარი მოვალეობაა, რომ არსებული ასახოს იმგვარად, როგორც ის „არის“, რათა მისი „არისობის“ სრულყოფილი გაგება განხორციელდეს. ფაქტია, რომ ქართულ ფილოსოფიას არ ჰყავს თალესის, ჰერაკლიტეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს დარი მოაზროვნეები. მაშასადამე, ფაქტია ისიც, რომ ქართულ ფილოსოფიაში არ არსებობენ ფილოსოფიური აზროვნების საკუთრივი საწყისების/დასაწყისის შემქმნელი მოაზროვნეები. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ფილოსოფიური სივრცე, რომელშიც საკუთრივი დასაწყისის შემქმ-

ნელი მოაზროვნეები არ გვხვდებიან, საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების კონტექსტში ყურადღებას არ იმსახურებს.

არა! ეს ასე არ არის!

საკუთრივი დასაწყისის გარეშე არსებული ფილოსოფიური სივრცეები და მათი წარმომადგენლებიც უაღრესად საინტერესოა საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში. მართალია, ისინი სხვა(თა) დასაწყისზე დაფუძნებული სააზროვნო სივრცეებია, თუმცკი, მათში ხშირად შემონახულია არაერთი საინტერესო და ყურადსაღები ასპექტი თავად ფილოსოფიური აზროვნების საკუთრივი დასაწყისის შესახებ. როდესაც ფილოსოფიური აზროვნების საკუთრივი დასაწყისის შესახებ მისი გვიანდელი დოკუმენტები გვესაუბრება, როცა საქმე გვაქვს საკუთრივი დასაწყისის ინტერპრეტაციის სანდო და საიმედო გზებთან, ამით საქმე გვაქვს ფილოსოფიური აზროვნების საკუთრივი დასაწყისის გაგების, გააზრებისა და გადააზრების საუკეთესო ნიმუშებთან. ამით იმის ხაზგასმა ხდება, რომ საკითხის არსს უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ, რათა მივხვდეთ, რომ ქართული ფილოსოფიური აზროვნების ბუნება განსაზღვრულია იმით, რომ ის არის საკუთრივი დასაწყისის მქონე ანტიკური ხანის ბერძნული ფილოსოფიის რეცეფციისა და ტრანსფორმაციის შედეგი. მაშასადამე, აქ ხდება ამ ფილოსოფიური ტრადიციის რეცეფცია/ათვისება/ასახვა, ხოლო ათვისება-ასახვის ამ დიდ პროცესში კი ხდება მისი ტრანსფორმირება/გათავისება/გარდასახვაც.

მეთოდოლოგიური ცრურწმენები

ამ წიგნში ვისაუბრებთ ახალი დროის ქართული ფილოსოფიის, ასევე, ახალი დროის ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების შესახებ; თუმცა, სანამ უშუალოდ საკვლევი თემის შესახებ დავინყებდეთ საუბარს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს სფერო დღემდე ნაკლებად იყო გამოკვლეული, რამაც ამ ეპოქის შესახებ მრავალ ცრურწმენას, უსაფუძვლო წარმოდგენას, შეფასებას, მსჯელობას და ა.შ. დაუდო სათავე.¹

ამ ტიპის ცრურწმენებიდან და შეფასებითი მსჯელობებიდან ზოგიერთი მეტად არაზუსტ ხასიათსაც კი ატარებს. მაგალითად, ერთ-ერთი შეფასებითი მსჯელობა დაახლოებით ასეთი სახისაა: ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველი მოაზროვნე – დავით ბატონიშვილი – სამეფო კარის წარმომადგენელი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა და ინტელექტუალი, თითქოს ათეისტი იყო! საიდან მოდის ეს ცრურწმენა?

ამ შეფასებითი მსჯელობის შესახებ საუბრისას, გარდა იმისა, რომ კონკრეტულად ამ შემთხვევას განვიხილავთ და მის სიმცდარეს ვაჩვენებთ, ამავე

1 ამ საკითხის შესახებ დანვრილებით იხ. თ. ირემაძე, ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი თავისებურებანი, კრებულში: ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე), კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., გვ. 9-14.

დროს, ცხადი უნდა გახდეს, თუ რამდენად სახიფათო და სარისკოა მეცნიერების, აზროვნების ისტორიაში გარკვეული შეფასებების გაკეთება ზედაპირულ მსჯელობებზე დაყრდნობით. „დავით ბატონიშვილი ათეისტია!“ – ამ შეფასებითი მსჯელობის წყარო არის ის, რომ დავით ბატონიშვილი პატივს სცემდა ვოლტერსა და მის ნააზრევს. ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის, ლევან ასათიანის (1900-1955 წწ.) წიგნში „ვოლტერიანობა საქართველოში“ (1927 წ.) დავით ბატონიშვილი მონათლულია „დიდ ქართველ ვოლტერიანელად“. ის, გარკვეულწილად, იყო კიდევ ვოლტერიანელი, ვოლტერის პატივისმცემელი, თუმცა, ვოლტერის პატივისცემა, თუნდაც ვოლტერის ნაშრომების პოპულარიზება ან თარგმნა არ ნიშნავს ათეისტობას!

ზემოთ მოყვანილ მცდარ შეფასებით მსჯელობას შემდეგი მცდარი ისტორიულ-ფილოსოფიური განსჯა უდევს საფუძვლად, კერძოდ, რომ ვოლტერი იყო ათეისტი და ვოლტერიანელობა ნიშნავს ათეისტობას! მეცნიერული კვლევები არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვოლტერის ათეისტობა დავასაბუთოთ. იგი, შესაძლოა, არ იყო გამორჩეული თეისტი, მაგრამ არც ათეისტი ყოფილა და არც მებრძოლი ღვთისმგმობელი! პირიქით, ვოლტერი ერთგან ამბობს: ღმერთი კიდევ რომ არ არსებულებო, მაშინ ის ადამიანებს უნდა გამოეგონათო. რატომ? იმიტომ, რომ სამყაროში ჰარმონიის დასამკვიდრებლად, გარკვეული წესრიგის შესაქმნელად საჭიროა ღმერთის იდეის დაშვება. ვოლტერს კიდევ რომ ჰქონოდა სამყაროს შესახებ ე.წ.

„ათეისტური წარმოდგენები“, ეს არ იძლევა იმის საკმარის საფუძველს, რომ მისი ნააზრევის პატივისმცემელი და დამფასებელი აუცილებლად ათეისტი!

მსგავსი სახის შეფასებითი მსჯელობები ახალი დროის ამა თუ იმ ქართველი მოაზროვნის შესახებ ხშირად გხვდება ქართულ ენაზე არსებულ სამეცნიერო-ფილოსოფიურ გამოკვლევებში. ამის მიზეზი კი არის ახალი დროის ქართული ფილოსოფიის სპეციფიკის ვერ გაგება, მისი არასათანადო შესწავლა და კვლევა. ამ ხასიათის კიდევ ერთი თვალშისაცემი ცრურწმენა გახლდათ ის, რომ, მაგალითად, „ანტონ პირველი იყო მოძულე და მდევენელი რუსთაველისა, მისი პიროვნებისა და შემოქმედების მგმობელი!“ ეს უკიდურესად უსაფუძვლო, მცდარი შეფასებითი მსჯელობა არავითარ სახლო არგუმენტს არ ეფუძნება და ის დამაჯერებლად უკუაგდო ზვიად გამსახურდიამ თავის ვრცელ გამოკვლევაში „რუსთველი და ანტონ I“², რომელშიც ნათლადაა ნაჩვენები, რომ ანტონი არა თუ მოძულე და მდევენელი იყო რუსთაველისა, არამედ თავისი მიზანსწრაფვით თავად იყო „შოთაებრი კაცი“ (აღსანიშნავია, რომ თვითონ ანტონი ამ ეპითეტით მოიხსენიებს სარგის თმოგველს თავის „წყობილსიტყვაობაში“). ზვიად გამსახურდიას აზრით, ანტონ კათალიკოსის შემოქმედების შესწავლა გვეხმარება რუსთველოლოგიურ კვლევაში, „ვეფხისტყაოსნის“ რთული ფილოსოფიური და

2 ზ. გამსახურდია, რუსთველი და ანტონ I, ნიგნში: ზ. გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბილისი: „ბელოკვება“, 1991 წ., გვ. 46-99.



საღვთისმეტყველო ტერმინების, სიმბოლოებისა და ალეგორიების გაშიფვრაში. უფრო მეტიც, „ანტონი თავად იყო უღრმესი რუსთველოლოგი, რუსთველის პოეზიაზე და ფილოსოფიაზე აღზრდილი კაცი, რომლის მსოფლმხედველობა, საღვთისმეტყველო ფილოსოფიური აზროვნება, თვით სტილისმიერი არქიტექტონიკაც კი მისი ქმნილებებისა, რუსთველურ ტრადიციას ეყრდნობა და ავითარებს.“³ მაშასადამე, ანტონი იმ დიდი იდეალების განმახორციელებელი იყო, რომლებიც ერთ დროს თავად რუსთაველის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ახალი დროის ქართული ფილოსოფიის წარმომადგენელთა შესახებ არაერთი მსგავსი ხასიათის ცრურწმენა არსებობს. მათი დანვრილებითი, საგულდაგულო განხილვა და უკუგდება კი იმისთვის არის საჭირო, რომ ამ ტიპის ფილოსოფიის ისტორიული კვლევების მავნე იდეოლოგიური სარჩული გამოვააშკარავოთ და ვაჩვენოთ, თუ რამდენად სახიფათო, სარისკო და უკიდურესად უარყოფითი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს პოლიტიკური იდეოლოგიის დიქტატის მავნე ზეგავლენა მეცნიერების ამა თუ იმ დარგზე.

ასე რომ, ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაზე და მის მთავარ წარმომადგენლებზე გავრცელებულია არაერთი მცდარი შეხედულება. ჩვენი სამომავლო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უნდა იყოს ის, რომ გავფანტოთ და უარვყოთ ეს ცრურწმენები. თუკი დავაკვირდებით ამ ცრურწმენათა ისტორიას, შევამჩნევთ, რომ

3 იქვე, გვ. 98-99.

ახალი დროის თითქმის ყველა დიდი მოაზროვნე ამ შეფასებითი ცრურწმენების ობიექტი აღმოჩნდა. ფაქტობრივად, იგივე მდგომარეობა იყო დიდი ხნის განმავლობაში სულხან-საბა ორბელიანთან დაკავშირებითაც! როდესაც ამ დროის დიდ ქართველ მოაზროვნეებს ესწავლობთ, ფრთხილად, დიდი ყურადღებით, ახალი ცნებითი არსენალითა და ახალი მეთოდოლოგიური მიდგომებით უნდა ვცადოთ მათი ნააზრევის ახსნა-განმარტება.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გამოვკვეთოთ ახალი დროის ქართული ფილოსოფიის სპეციფიკა, მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები და მიდგომები. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოვავლინოთ ის სპეციფიკური ნიშან-თვისებები, რომელთა საფუძველზეც ამ პერიოდის ქართული ფილოსოფიური აზროვნება გამოირჩევა ამავე პერიოდის უცხოური ფილოსოფიური აზროვნებისაგან. ამისთვის კი საჭიროა, რომ შევიმუშავოთ სათანადო მეთოდოლოგიური აპარატი, რათა ადეკვატურად გამოვიკვლიოთ ახალი დროის ქართველ მოაზროვნეთა შემოქმედებითი სამყარო და ნათლად წარმოვადგინოთ მათი მსოფლმხედველობითი ხატი. ეს ეხება სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ანტონ პირველის (ბაგრატიონი), დავით ბატონიშვილის, იოანე ბატონიშვილის, იონა ხელაშვილის, სოლომონ დოდაშვილის, გაბრიელ ქიქოძის და სხვ. შემოქმედების კვლევას. წინამდებარე წიგნის საკვლევი პერიოდი კი მოიცავს XVII-XIX საუკუნეებს, რომელიც ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი ნაყოფიერი პერიოდი იყო.

ტრადიცია და ინოვაცია

ფილოსოფიასა და მის მონათესავე მეცნიერებებში საქმის წინ წანწევა შეუძლებელი შეიქნება, თუკი, ერთი მხრივ, არ დავეყრდნობით უკვე არსებულ ტრადიციას, ხოლო, მეორე მხრივ, არ ვეცდებით ამ ტრადიციის განახლებას. არსებული ტრადიციიდან უნდა დარჩეს ის, რაც უფრო მეტად ღირებული და არსებითია, მაგრამ, მეორე მხრივ, აუცილებელია განახლების ძლიერი ნაკადის შემოჭრაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნება განვითარების პრობლემა. განვითარების პროცესს კი აქვს თავისი შინაგანი დინამიკა, ის ყოველთვის მოითხოვს წინსვლასა და პროგრესს.

ანტონ პირველი ამ მხრივ სანიმუშო შემოქმედი იყო. თუკი მის თეორიულ მემკვიდრეობას შევისწავლით, ვნახავთ, რომ იგი საკუთარ თეორიულ ნაზრევს ანტიკური მოაზროვნეებისა (წინასოკრატელები, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე და ა.შ.) და ქრისტიანი ავტორების (მაქსიმე აღმსარებელი, იოანე დამასკელი და ქრისტიანობის სხვა წმინდა მამები) შესწავლით იწყებს. ანტონმა ფართოდ მიჰყო ხელი ქრისტიანი ავტორების რეცეფციას, მათ კომენტარსა და განმარტებებს, მაგრამ, ამავე დროს, ანტიკური ხანის ავტორთა და მათ კომენტატორთა ინტერპრეტაციითა და გადმოცემითაც იყო დაინტერესებული. ამის საუკეთესო ნიმუშია მის მიერ 1752 წელს შექმნილი ფილოსო-

ფიური თხზულება „სპეკალი“, რომელიც, თავის მხრივ, ფილოსოფიური კომპენდიუმი, მაშასადამე, ის არის იმ დროს არსებული ფილოსოფიური ცოდნის სისტემური შეჯერება და შეჯამება. ამ თხზულების მეშვეობით იმ დროს არსებულ სასულიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ცოდნის ათვისება ხდებოდა, რადგან „სპეკალი“ ქრისტიანული ფილოსოფიის სფეროში შექმნილი სახელმძღვანელო ნაშრომი იყო. ეს ასპექტი საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რადგან თავად ამ სახელმძღვანელოს სტრუქტურა და არქიტექტონიკაა განსაკუთრებული. ამ თხზულების სახელწოდება მოდის სპარსული სიტყვიდან „სპეკალი“, რაც ქართულად ნიშნავს „ძვირფას ქვებს“. აქედან გამომდინარე, ანტონი პრეტენზიას აცხადებს იმ ტიპის ცოდნაზე, რომელიც ქართველი მკითხველისთვის ძვირფასი, სანიმუშო აზრების კონას წარმოადგენს. ეს ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო მემკვიდრეობას და თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს სახელმძღვანელო პრინციპთა და კონცეფციათა კრებულის შერჩევა ჩვენს ხელთ არსებული ცოდნის თვალუწვდენელი სიუხვიდან. ეს იმ ტიპის მასალა უნდა იყოს, რომელიც თანაბრად გამოადგება ჩვენს სულიერებაგონიერებას და სალი აზრის მასაზრდოებელი წყარო გახდება. აი, ამ მეთოდოლოგიური პრინციპით ხელმძღვანელობდა ანტონი თავისი თხზულების შედგენის დროს.

რეცეფცია და ტრანსფორმაცია

როდესაც ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნების სპეციფიკაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური საშუალებები, რომელთა მეშვეობით ადეკვატურად დახასიათდება და გამოვლინდება ეს სპეციფიკა. აქ (და)ისმის კითხვათა მთელი რიგი: რა ყაიდის მოაზროვნენი არიან ახალი დროის ქართველი ფილოსოფოსნი და ღვთისმეტყველნი? რა გამოარჩევს მათ ამავე პერიოდის უცხოური ფილოსოფიური ტრადიციების წარმომადგენლებისგან?

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დროის ქართული აზროვნება ყველაზე ადეკვატურად და ზუსტად დახასიათდება ორი მნიშვნელოვანი ისტორიოგრაფიული კატეგორიის (კონცეპტის) მეშვეობით, რომლითაც მთელი ქართული ფილოსოფიის ისტორიის შინა-არსის გამოკვეთა ხდება. ერთი მხრივ, ეს არის მისი წინარე აზროვნების ათვისების, ასახვის („რეციპირება“) ისტორია, ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის მისივე გათავისების, გარდასახვის („ტრანსფორმირება“) პროცესი. ამრიგად, „რეცეფცია“ („ასახვა“) და „ტრანსფორმაცია“ („გარდასახვა“) ქმნის ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნების სპეციფიკას. „რეცეფციისა“ და „ტრანსფორმაციის“ გარეშე ჩვენ ვერ გავიგებთ წინა და შემდგომი პერიოდის ქართუ-

ლი ფილოსოფიური აზროვნების თავისებურებებს, რადგან ქართული ფილოსოფიური აზროვნება არ არის საკუთრივი დასაწყისის მქონე ფილოსოფიური აზროვნება. ფილოსოფიის „საკუთრივ დასაწყისში“ იგულისხმება ისეთი დასაწყისი, როგორც ჰქონდა ანტიკური ხანის ბერძნულ ფილოსოფიას.

მაშასადამე, ფილოსოფიის ისტორიოგრაფიული კატეგორიების კუთხით ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ ორ უმნიშვნელოვანეს კატეგორიას! როგორც ითქვა, ქართული აზროვნების საკუთრივ ხასიათს ვერ გავიგებთ, თუკი მათ მხედველობაში არ მივიღებთ, თუკი სათანადოდ არ გავაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ დიდი ქართველი მოაზროვნეები დაინტერესებულნი იყვნენ ბერძნული და ქრისტიანული ფილოსოფიური საგანძურის ასახვით/ათვისებით; ამ პროცესში კი ისინი პირდაპირ თუ ირიბად გარდასახავდნენ კიდევაც ფილოსოფიური აზროვნების იმ დოკუმენტებს, რომლებიც მათი აზროვნების რაკურსში მოექცეოდა ხოლმე. ამგვარად დაისახა ქართული ფილოსოფიური აზროვნების არაერთი საგულისხმო პერსპექტივა, რამაც თავად ქართული ფილოსოფია უაღრესად პერსპექტიული გახადა.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოცემულობაა და ყოველთვის უნდა მივიღოთ მხედველობაში, როდესაც ქართული ფილოსოფიის (კერძოდ კი, ახალი დროის ქართული ფილოსოფიის) შესახებ ვსაუბრობთ. ქართულ ფილოსოფიაში არ გვხვდება არცერთი მოაზროვნე, რომელიც ფილოსოფიური აზროვნების საკუთრივი დასაწყისის შემ-

ქმნელი მოაზროვნე იყო. ყველა დიდი ქართველი ფილოსოფოსი ფილოსოფიური აზროვნების დიადი ტრადიციების, ერთი მხრივ, ბერძნული, ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტიანული და თავად ქართული ფილოსოფიური ტრადიციის ათვისებისა და გათავისების გზით, მათი გააზრებითა და გადააზრებით აღწევს საკუთარ თეორიულ მიზანს.

ეს პროცესი კარგად იყო გაცნობიერებული, რასაც ნათლად აჩვენებს ადრეული შუა საუკუნეების ქართული აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ამ თხზულების ავტორი, გიორგი მერჩულე (X ს.), გრიგოლ ხანძთელის შესახებ ამბობს: „ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავლა კეთილად, და რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, თავი II).

მაშასადამე, დიდი ყურადღება ექცეოდა იმას, თუ რისი ათვისება/შენწყნარება ხდებოდა და რისი განგდება/უკუგდება. ის, რომ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში ტექსტების ათვისება-აღქმისა და გააზრება-გადააზრების ასეთი ტრადიცია ჩამოყალიბდა, ცნობიერი პროცესი იყო, რადგან ამ პროცესის განმახორციელებელი მოაზროვნეები კარგად აცნობიერებდნენ მათ მიერ წამოწყებული საქმის არსს და იმ სავარაუდო შედეგებსაც, რაც ამ პროცესს შეიძლება მოჰყოლოდა. აქ ნათლად ჩანს ქართული ფილოსოფიური აზროვნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება: ის არის უნივერსალური თეორიული კატეგორიების გამოძე-

შავებისა და შექმნისკენ მიმართული აზროვნება, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ რა არის განმასხვავებელი სხვადასხვა სააზროვნო ტრადიციაში, არამედ იმას, თუ რა არის დამაკავშირებელი განსხვავებული სააზროვნო ტრადიციებისა და მათი წარმომადგენლებისა.

საგანმანათლებლო სპეციფიკა

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დროის ქართველმა მოაზროვნეებმა სრულად ვერ აითვისეს იმდროინდელი დასავლური ფილოსოფიის მიღწევები; მათ თავიანთი დროის ქართული საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებს მიაქციეს ყურადღება და დასავლეთევროპული ფილოსოფიური ნააზრევიდან ის შეისწავლეს, რაც მათი კონკრეტული საგანმანათლებლო მიზნებისთვის სასარგებლო შეიძლებოდა ყოფილიყო. ამგვარად მოხდა ევროპული ფილოსოფიური აზროვნების ტრანსფორმაცია ქართულ ნიადაგზე. აქ იდეათა სპეციფიკურ გარდასახვასთან გვაქვს საქმე: ევროპული ფილოსოფიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი „მორგებულია“ იმდროინდელი ქართული საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებსა და სასწავლო/სასკოლო გეგმებს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპული ფილოსოფიური აზრის ინტერპრეტაცია ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში, უმეტესწილად, ქრისტიანულ კონტექსტში ხდება. ახალი დროის ქართველი მოაზროვნეები არ იყვნენ მთარგმნელები და კომენტატორები იმ აზრით, რა აზრითაც შუა საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსები და ღვთისმეტყველები. შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლები ახორციელებდნენ ე.წ. „თარგმანებაჲ“-ს, ანუ ისინი საჭირო ტე-

ქსტს ჯერ თარგმნიდნენ და შემდეგ – შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით – თარგმნილ ტექსტს საგულდაგულოდ და დაწვრილებით განმარტავდნენ კიდევ (ამის საუკეთესო მაგალითია იოანე პეტრინი და მისი თარგმანი-კომენტარი პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის სანყისებისა“). ახალი დროის ქართული ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლები კი გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე მათი ინტელექტუალური წინაპრები. ახალ დროში საქართველო დაქუცმაცებული იყო, ხოლო სწავლა-აღზრდის პროცესი კი მოშლილი. არ არსებობდა სახელმძღვანელოები და, შესაბამისად, სასწავლო პროცესში უამრავი დაბრკოლება იქმნებოდა. ამის ნათელი გამოხატულებაა ის ფაქტიც, რომ იმდროინდელი ქართული ენა ხშირად სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო მიღწევების ასახვას საკუთარ ენობრივ რესურსზე დაყრდნობით ვერ ახდენდა. ამის თვალსაჩინო ნიმუშია დავით ბატონიშვილის მიერ შედგენილი „შემოკლებული ფისიკა“ (1818 წ.), რომლის ენობრივი ქსოვილი აღსავსეა ბარბარიზმებითა და მოუქნელი ენობრივი გამოთქმებით. მასში ბევრია ე.წ. „რუსიზმები“ და რუსული კალკები. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება ის ფაქტიც, თუ რა მდგომარეობაში იყო საბუნებისმეტყველო ცოდნა იმ პერიოდის საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ რუსული იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად საქართველოში მოიშალა სამეცნიერო ცოდნა. ამ მძიმე მდგომარეობაში მოღვაწეობდნენ ახალი დროის ქართველი მოაზროვნეები

და ცდილობდნენ, რომ საკაცობრიო კულტურაში დაგროვილი ცოდნა აეთვისებინათ და ეროვნულ ნიადაგზე დაენერგათ. ამდენად, ისინი ქართული კულტურის დიდი მეციხოვნეები იყვნენ.

ფილოსოფიურ თხზულებათა სათაურები

ახალი დროის ქართული ფილოსოფია იმითაც არის გამორჩეული, რომ მისი წარმომადგენლები საგულდაგულოდ არჩევდნენ მათივე მთავარი ნაშრომების სათაურებს. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება ანტონ პირველის „სპეკალი“, იონა ხელაშვილის „ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნი“ და იოანე ბატონიშვილის „კალმასობა, ანუ ხუმარსწავლა“. ქვემოთ სწორედ ამ სამი თხზულების სათაურებს განვმარტავთ და მათ სპეციფიკას წარმოვაჩინთ. ფილოსოფიური თხზულება „სპეკალი“ 1752 წელს შეიქმნა. როგორც ზემოთ აღინიშნა, „სპეკალი“ სპარსული სიტყვაა და ქართულად ითარგმნება როგორც „ძვირფასი ქვები“. ანტონ პირველთან იგი უნდა ნიშნავდეს საყურადღებო აზრების კრებულს. ანტონს ამით იმის თქმა სურდა, რომ მის ნაშრომში სამყაროს გამოჩენილი მოაზროვნეების ძვირფასი აზრებია შეკრებილი და განსაზღვრული სასწავლო მასალად ქართველი სემინარისტებისთვის. „სპეკალი“ შედგება 153 თავისგან და დაყოფილია სამ ნაწილად; ეს ნაწილებია: I. კატეგორიები (თ. 1-87); II. „ადგილნი დიალექტიკისანი“ (თ. 90-119); III. სულის შესახებ (თ. 121-149).⁴

4 ამ საკითხის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I: ძველი მწერლობა, თბილისი:

საგულისხმო სათაური შეურჩია თავის ფილოსოფიურ ნაშრომს ახალი დროის ქართველმა ფილოსოფოსმა და ღვთისმეტყველმა იონა ხელაშვილმა. იონა ხელაშვილმა, რომელმაც „ოცდათოთხმეტი შეკითხვის წიგნი“ 1826 წელს დაასრულა, თავის თხზულებას უწოდა „წიგნი ესე კიდონტი“.⁵ „კიდონტი“ ოქროსა და ვერცხლის ამოსაცნობი ქვაა. ამ შემთხვევაშიც ნაშრომის სათაური მისი მთელი შინაარსის ანარეკლია. იონა ხელაშვილი კიდევ უფრო შორს მიდის, ვიდრე ანტონ პირველი და მას ჭეშმარიტი აზრების მცდარი აზრებისგან მკვეთრი განსხვავება და გამოიჯვნა სურს. მაშასადამე, აქ ავტორის შემეცნებითი პერსპექტივა, მეთოდოლოგიური პოზიცია კიდევ უფრო მკაცრი ხდება და წინა პლანზე გამოდის რელიგიურად მოტივირებული მოაზროვნის ცალსახად მტკიცებითი პათოსი. იონა ხელაშვილი შერჩევითად მიუდგა ფილოსოფიური ღვთისმეტყველების სფეროში არსებულ ტრადიციასა და მემკვიდრეობას. მან მთელი საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტრადიციის სისტემატიზება დაისახა მიზნად და იმ ნიშანსვეტების გამოკვეთა

„საბჭოთა საქართველო“, 1960 წ., გვ. 384.

- 5 ამ ნაშრომისა და მისი ავტორის შესახებ დანვრილებით იხ. ლ. ზაქარაძე, იონა ხელაშვილი – დიდი ქართველი ღვთისმეტყველი ეპოქათა გზაგასაყარზე, *ჟურნალში*: „უფლის ციხე“. საქართველოს საპატრიარქო, № 2 (თბილისი, 2012 წ.), გვ. 70-74; თ. ირემაძე, იონა ხელაშვილის ფილოსოფიური ღვთისმეტყველება, *ჟურნალში*: „უფლის ციხე“. საქართველოს საპატრიარქო, № 3 (თბილისი, 2014 წ.), გვ. 91-96.

სცადა, რომლებიც, მისი აზრით, საერთო საქრისტიანო საქმისთვის იყო მნიშვნელოვანი.

ანტონ პირველის „სპეკალში“ გამოხატული შემეცნებითი პოზიცია კი სხვაგვარია და ის, უფრო მეტად, დიდი ბიზანტიელი მოღვაწის, მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი ავტორიტეტის, იოანე დამასკელის შერჩევითი მიდგომის მეთოდს ენათესავება, რომლის მეთოდოლოგიური პრინციპი ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს: „ჩემსას არარას ვიტყოდე, მხოლოდ ბრძენ მოძღვართა ნააზრევს შევკრებ და გადმოგცემთ“.

არანაკლებ საგულისხმო და მნიშვნელოვანია იოანე ბატონიშვილის მთავარი ლიტერატურული და ენციკლოპედიური თხზულების სათაური – „კალმასობა, ანუ ხუმარსწავლა“ (1813-1828 წწ.), რომელსაც ქართველი ავტორი 15 წლის განმავლობაში წერდა. ეს თხზულება წარმოადგენს კითხვა-პასუხის სახით აგებულ ენციკლოპედიურ ნაშრომს, რომლის მთავარი მოქმედი პირი ზემოთ ხსენებული ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი იონა ხელაშვილია. იგი ამ თხზულებაში დაახლოებით იმ მისიას ასრულებს, რასაც სოკრატე პლატონის უკვდავ ფილოსოფიურ დიალოგებში.⁶ ამ

6 ამ ნაშრომისა და მისი ავტორის შესახებ დაწვრილებით იხ. მ. გოგატიშვილი, იოანე ბაგრატიონი (1768-1830 წწ.). სოკრატული სიბრძნისმეტყველება, *კრებულში*: ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე), კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., გვ. 81-90.

მნიშვნელოვანი წიგნის სათაურიდან მისი ავტორის მთავარი პოზიციის გარკვევა ხდება შესაძლებელი. ამ ენციკლოპედიური თხზულების თეორიული მრავალფეროვნება თვალის ერთი გადავლებითაც კი აშკარად შესამჩნევია. ეს თხზულება განმანათლებლური პათოსითაა აღბეჭდილი და მკითხველს – ერთგვარი სამხიარულო ამბების მოყოლის კვალდაკვალ – ღმერთის, ადამიანის, სამყაროსა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ სანდო ინფორმაციებსა და ცოდნას აწვდის. ოღონდ ცოდნის გადაცემის მეთოდი აქ უკიდურესად თავისუფალია, ის წარმოადგენს ერთგვარ „სიბრძნე მალალობელს“ (ვახტანგ VI-ის ტერმინი რომ გამოვიყენოთ), „მხიარული მეცნიერების“ ერთგვარ მოდელს, რომელშიც სიბრძნე, ცოდნა ხალასი ფორმით გადაიცემა და მკაცრ თეორიულ დაფუძნებასა და ლეგიტიმაციას არ საჭიროებს.

ახალი დროის ქართული ფილოსოფიის ამ სამი მნიშვნელოვანი თხზულების სათაურთა განმარტების შედეგადაც კარგად ჩანს ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნების მრავალფეროვნება და სიმდიდრე, მისი მეთოდებისა და მოდელების ნაირგვარობა, რაც ამ ეპოქის ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი თანმდევი ნიშანია.

თეორია პრაქტიკაში

ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნება გარკვეულ „დიალოგურ“ პრინციპზეა აგებული. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ასპექტი კი არის განმასხვავებელი და წინააღმდეგობრივი ასპექტების ჰარმონიაში მოყვანის მცდელობა, რაც სხვადასხვა, უფრო მეტიც, განსხვავებულ და წინააღმდეგობრივ სააზროვნო ტრადიციათა მშვიდობიანი თანაარსებობის წინაპირობების დაფუძნებას ემსახურება. თუკი ახალი დროის ქართველ მოაზროვნეებს კარგად შევისწავლით, შევნიშნავთ, რომ ისინი ცდილობენ საკაცობრიო აზროვნების დიადი საგანძურიდან იმ აზრთა ნაკრების გამოკვეთას და გამოკრებას, რომელიც კაცთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს უწყობს ხელს. მაშასადამე, მშვიდობა ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნების საკვანძო ასპექტია; მას საგანგებო ყურადღება ექცეოდა, რადგან ქართული ფილოსოფია, გარკვეული აზრით, მშვიდობის დამამკვიდრებელი და მშვიდობაზე ორიენტირებული აზროვნებაა, ის მშვიდობის პრინციპებს წამოსწევს წინა პლანზე. მშვიდობა ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა!

მშვიდობის ფილოსოფიური პრინციპი ის პრინციპია, რომელიც სამომავლო საკაცობრიო აზროვნების კონტექსტშიც აქტუალურია. ახალი დროის

დიდი ქართველი მოაზროვნეების შემოქმედება ადასტურებს, რომ ისინი ამ თეორიული პრინციპის ცხოვრებაში გატარებასა და დანერგვას ცდილობდნენ. ამ პერიოდის ქართველი მოაზროვნეები მხოლოდ „მჭვრეტელი“ თეორეტიკოსები კი არ იყვნენ, არამედ „პრაქტიკოსი“ მოაზროვნეებიც. ასე რომ, იმდროინდელი ქართველი ფილოსოფოსები თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის განმასახიერებელი მოღვაწეები იყვნენ:

- სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725 წწ.) – ბერი, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი;
- ანტონ პირველი (ბაგრატიონი) (1720-1788 წწ.) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი და ენათმეცნიერი, მწიგნობარი;
- დავით ბატონიშვილი (1767-1819 წწ.) – სახელმწიფო მოღვაწე, სამხედრო პირი, მწერალი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი-თეორეტიკოსი;
- იოანე ბატონიშვილი (1768-1830 წწ.) – სახელმწიფო მოღვაწე, ენციკლოპედიური მასშტაბის მქონე მწერალი და ფილოსოფოსი, მეცნიერი და თეორეტიკოსი;
- იონა ხელაშვილი (1778-1837 წწ.) – მეცნიერი ბერი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი;
- სოლომონ დოდაშვილი (1805-1836 წწ.) – ფილოსოფოსი, მეცნიერი, მწერალი, საზოგადო

მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე;

- გაბრიელ ქიქოძე (1825-1896 წწ.) – იმერეთის ეპისკოპოსი, მეცნიერი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი.

ეს ის მოღვაწეებია, რომელთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში ერთმანეთს დაუკავშირდა თეორია და პრაქტიკა; და საერთოდ: ეს სინთეზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნახნაგია ახალი დროის ქართული აზროვნებისა!

ახალი დროის ქართული ფილოსოფია თავისი არსით ქრისტიანული ფილოსოფიაა. XX საუკუნეში კი ქართული ფილოსოფია იდეოლოგიზებული გახდა და მან, მეტწილად, ათეისტური შინაარსი შეიძინა. მაშასადამე, ქართული ფილოსოფია XX საუკუნემდე არსებითად ქრისტიანული ფილოსოფიაა! ამ თეზისის საყრდენი მხოლოდ ის კი არ არის, რომ ეს აზროვნება ქრისტიანობის წიაღში ჩაისახა, არამედ ისიც, რომ ის შემდგომში განვითარდა კიდევ როგორც ქრისტიანული ფილოსოფია. ახალი დროის ქართულ აზროვნებაში კი ეს მოტივი წარმოჩნდა როგორც თვითცნობიერების მქონე ქრისტიანული ფილოსოფია, ანუ ქრისტიანული მსოფლმხედველობის ათვისებისა და გაგების გზით შექმნილი ფილოსოფია.

ევროპული ფილოსოფია საქართველოში

ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნება არ იყო ფოკუსირებული ერთ რომელიმე კონკრეტულ ფილოსოფიურ ტრადიციაზე ან მიმართულებაზე. პირიქით, ამ პერიოდის საქართველოში არსებული ფილოსოფიური განაზრებანი იმაზე მიანიშნებს, რომ აქ იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის სხვადასხვა ფილოსოფიური მიმართულების ათვისება ხდებოდა. მაგალითად, ახალი დროის ფრანგული ფილოსოფია საქართველოში წარმოდგენილი იყო დავით და იოანე ბატონიშვილების მიერ. ლაიბნიც-ვოლფის ფილოსოფია და გერმანული სასკოლო ფილოსოფია კი ანტონ ბაგრატიონმა შემოიტანა. მისსავე სახელს უკავშირდება ქართულ-სომხური ფილოსოფიური ურთიერთობების გაღრმავება და ამავე პერიოდის ფილოსოფიურ-თეოლოგიური კვლევების განვრცობა ქრისტიანული ფილოსოფიის სფეროში. სწორედ ამ მოძრაობის შედეგად შეიქმნა იონა ხელაშვილის, გაბრიელ ქიქოძის და სხვ. თვალსაჩინო ქართველი მოაზროვნეების ფილოსოფიური ღვთისმეტყველება.

ფილოსოფიური ღვთისმეტყველების განვითარება ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში ბუნებრივი პროცესიცაა, რადგანაც ამ პერიოდის ქართველი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების მნიშვნელოვანი ნაწილი სასულიერო პირები

იყვნენ. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ აქ თემატურ მრავალფეროვნებასთანაც გვაქვს საქმე. თუკი კიდევ უფრო მეტად ჩავუღრმავდებით საკითხის შინა-არსს, შევნიშნავთ, რომ ამ დროს მოღვაწე ქართველი ფილოსოფოსები და თეოლოგები მთარგმნელები და კომენტატორები იყვნენ – ოღონდ ამ საქმის საუკეთესო გაგებით.⁷ ის, ვინც თარგმნის და კომენტატორია, ანუ ვინც ისეთ ნაშრომს ქმნის, როგორც ანტონ პირველის „სპეკალია“, ბუნებრივია, რომ დაინტერესებულია მრავალი ფილოსოფიური მიმართულების შესწავლითა და ათვისებით. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ახალი დროის ევროპული აზროვნების თავისებურებაც, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მაშინ პოპულარული იყო ე.წ. „ენციკლოპედისტობა“. ამა თუ იმ სწავლულის ენციკლოპედიური ინტერესები მოიცავს სამყაროს, ცხოვრებისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს შესწავლას. მაგალითად, იოანე ბატონიშვილი ენციკლოპედისტია. მის თხზულებაში „კალმასობა“ მრავალი ფაქტი და ცნობაა მოცემული არა მარტო ფილოსოფიის სხვადასხვა დარგიდან და მიმართულებიდან, არამედ მეცნიერების სხვადასხვა სფეროდანაც. ამ პერიოდის ქართველი მოაზროვნეები ენციკლოპე-

7 ამ საკითხის შესახებ დანვრილებით იხ. დ. ლაბუჩიძე, „ევროპეიზმი“ და ახალი დროის ქართული კულტურა, *კრებულში*: ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე), კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., გვ. 33-51.

დიური სულისკვეთებით იყვნენ შთაგონებული და სწორედ ამით იყო განპირობებული მათი თემატური მრავალფეროვნებაც.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ახალი დროის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში განსაკუთრებით ფართოდ იყო წარმოდგენილი ფრანგული ფილოსოფია და მისი სხვადასხვა ნაკადი. ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ იმ პერიოდის ქართული კულტურული სივრცის კონტექსტში „ვოლტერიანელობის“ შესახებაც კი საუბრობენ. აი, რამდენად მკვეთრად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ფრანგული აზროვნება საქართველოში, რომ მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სკოლის ქართული ადეპტის შესახებაც კი მსჯელობდნენ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკაში! სწორედ ამ პერიოდში შესრულდა შარლ ლუი დე მონტიესკიეს, ჟან ჟაკ რუსოს, ეტიენ ბონო დე კონდილიაკის და სხვა ფრანგი ენციკლოპედისტების ნაშრომთა არაერთი ქართული თარგმანი. ამ საქმის სათავეებთან იდგნენ: დავით ბატონიშვილი, დავით ციციშვილი, იოანე ბატონიშვილი და სხვ.

გარდა ამისა, ქართულ ენაზე, ასევე, ითარგმნა სხვა ევროპელ ავტორთა (ფრიდრიხ ქრისტიან ბაუმაისტერი, ჟან პიერ ფრიდერიკ ანსილიონი, ადამ ფერგიუსონი, ფრიდრიხ ვილჰელმ დანიელ სნელე და სხვ.) სხვადასხვა ფილოსოფიური ჟანრის თხზულებები. მათი ქართველი მთარგმნელები იყვნენ: ანტონ პირველი (ბაგრატიონი), დავით ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი, იოსებ მამაცაშვილი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ახალი დროის ქართული აზროვნების მთავარი წარმომადგენლები ფილოსოფიაში მულტიდისციპლინური/ინტერდისციპლინური მიდგომის კარგ მაგალითს ქმნიდნენ. ფილოსოფიურ დისციპლინათა მრავალფეროვნებაში ყურადღება ექცეოდა მეცნიერებათა შემხვედრი/საზღვრითი საკითხების თემატიზებასა და აღნუსხვას, რადგან ამ ეპოქის ქართველ მოაზროვნეებს ამ მრავალფეროვნებაში საერთო ტენდენციების დანახვა სურდათ. ეს ფილოსოფიური აზროვნების არსებითი ასპექტია; უფრო მეტიც, განსხვავებულში საერთოს დანახვა ფილოსოფოსობის მამოძრავებელი მუხტიც კია! ამ დროის ქართველი ფილოსოფოსები ამ საკითხში კარგად იყვნენ გარკვეული. ერთი დისციპლინის სასარგებლოდ სხვა დისციპლინათა უკუგდება და უარყოფა არ ხდებოდა, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი დროის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში პრიორიტეტული დარგები არ არსებობდა. ამ დროის ქართული ფილოსოფიის პრიორიტეტულ დარგთა რიცხვს მიეკუთვნებოდა: მეტაფიზიკა, ლოგიკა და ეთიკა.

თეოდიციის პრობლემა

ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში ლაიბნიც-ვოლფის მეტაფიზიკის რეცეფცია მოხდა. ეს ორი დიდი ევროპელი მოაზროვნე ქრისტიანული ფილოსოფიის საგანძურს წარმოადგენს, რადგან ლაიბნიცის სახელთან დაკავშირებულია თეოდიციის იდეის/ცნების შემოტანა და მისი დაფუძნების წარმატებული მცდელობა ფილოსოფიის ისტორიაში, ხოლო ქრისტიან ვოლფი კი ლაიბნიცის ფილოსოფიის სისტემატიზებას ცდილობდა, რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „გერმანულ სასკოლო ფილოსოფიას“. ლაიბნიცის დამსახურება იყო ღმერთის სამართლიანი ბუნების დასაბუთება დახვეწილი ფილოსოფიური მეთოდებითა და მეთოდოლოგიით. მაგრამ ხომ არ აღმოჩნდა ლაიბნიცის მიერ თეოდიციის იდეის შემოტანა მისსავე ფილოსოფიის სისტემაში აქილევსის ქუსლიც? რამდენად წარმატებულად შეძლო მან ღმერთის ყოვლისშემძლეობის, სამართლიანობისა და სამყაროში არსებული მრავალი ცოდვის, ტანჯვისა და ბოროტების ფაქტის ერთმანეთთან თანხმობაში მოყვანა? როგორ შეიძლება ღმერთის ყოვლისშემძლეობა, სიბრძნე და სიკეთე თანხმობაში იყოს სამყაროში არსებული ბოროტების მრავალგვარ გამოვლინებასთან (ავადმყოფობა, ტანჯვა, სიკვდილი, ომი და ა.შ.)?

შალვა ნუცუბიძე (ალეთეიოლოგიური მოძ-

ღვრების კონტექსტში) სამართლიანად შენიშნავს, რომ თეოდიციის პრობლემა ყოველი ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი ძნელი და უხერხული პრობლემაა, რომლის გადაჭრასაც ყველა დიდი ფილოსოფოსი (პლატონი, არისტოტელე, ლაიბნიცი, ჰეგელი და ა.შ.) ცდილობდა. აქ მთავარი სწორედ ის არის, რომ ნათელი და გასაგები უნდა გახდეს სამყაროს ნაკლოვანი, დროითი ხასიათი და ცვალებადობა, თანაც ისე, რომ ღმერთის ყოვლისშემძლეობისა და ყოვლადკეთილობის იდეას საფრთხე არ დაემუქროს.

ლაიბნიცი ამ პრობლემის გადაჭრას ახალი ფილოსოფიური ხედვების დაფუძნებით შეეცადა. მან ჩამოაყალიბა და განავითარა საკმაო საფუძვლის კანონი, რომელიც არა მარტო ლოგიკის, არამედ სინამდვილის მთავარ კანონად გამოაცხადა, რათა სამყაროში ღმერთის არსებობისა და მისი სამართლიანი ბუნების დასაბუთება მოეხდინა. იგი მიიჩნევდა, რომ ჩვენი სამყარო „ყველა სამყაროთაგან საუკეთესოა“, რადგან მასში ადამიანის თავისუფალი ნების არსებობაა გარანტირებული. რადგან სამყაროში ადამიანური თავისუფლება არსებობს, არსებობს ბოროტებაც, როგორც კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანის შესაძლებლობა. გამოდის, რომ ბოროტება სამყაროს იმანენტური მომენტია!

ლაიბნიცის ეს კონცეფცია დიდი ფრანგი განმანათლებლის, ვოლტერის მწვავე კრიტიკის საგანი გახდა. ვოლტერმა თავის თხზულებაში „კანდიდი ანუ ოპტიმიზმი“ (1759 წ.) დასცინა კიდევც ლაიბნიცს იმის გამო, რომ მან ჩვენი სამყარო

საუკეთესო და სრულყოფილ სამყაროდ აღიარა; არადა, სწორედ ჩვენს სამყაროში ხდება უამრავი საშინელება და ეს სამყარო როგორ შეიძლება საუკეთესო იყოს ყველა შესაძლო სამყაროთა შორის?! – სატირულად შენიშნავს ვოლტერი. ვოლტერმა ეს იდეა თვალსაჩინოდ და შთამბეჭდავად წარმოაჩინა თავისი ერთ-ერთი ფილოსოფიური მოთხრობის („კანდიდი“) ორ პერსონაჟს (ფილოსოფოს პანგლოსსა და ახალგაზრდა მეცნიერს, კანდიდს) შორის გამართულ დიალოგში. კანდიდი სვამს კითხვას: „მიუხედავად ყველაფრისა, მრავალი ტანჯვისა და წამებისა, მაინც რჩებით თუ არა იმ აზრზე, რომ სამყაროში ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის?“ პანგლოსი პასუხობს: „დიახ! მე ვრჩები ჩემს აზრზე. მე ფილოსოფოსი ვარ და არ შემშვენის ჩემი აზრის უარყოფა და შეცვლა!“

აი, ამგვარი „ფილოსოფიური უხერხულობები“ შეიძლება წარმოიშვას თეოდიციის იდეის, ანუ იმ მოძღვრების დასაბუთების პროცესში, რომლის მიხედვითაც ჩვენი სამყარო საუკეთესოა ყველა შესაძლო სამყაროთა შორის! ქრისტიანული მსოფლმხედველობის ნებისმიერი აპოლოგეტის წინაშე თავს იჩენს ეს პრობლემა და საჭირო ხდება მისი დამაჯერებელი გადანყვეტა. ლაიბნიც-ვოლფის მოდელი საყურადღებო აღმოჩნდა ახალი დროის ქართული ფილოსოფიის საღვთისმეტყველო ფრთის მიმდევართათვის (ანტონ ბაგრატიონი და მისი სკოლის წარმომადგენლები), რადგან ისინი სასულიერო პირები იყვნენ და მათი მოწოდებისა და ხელობის გამოც იდგნენ ამ პრობლემის წინა-

შე. თუმცა, არანაკლები რეზონანსი ხვდა წილად ვოლტერის კრიტიკულ პოზიციასაც. უფრო მეტიც, XIX საუკუნის საქართველოში ვოლტერის მრავალი თხზულება ითარგმნა ქართულ ენაზე და მას ერთგული მიმდევრებიც კი გამოუჩნდნენ ახალი დროის ქართულ აზროვნებაში. სწორედ ამან უბიძგა ლევან ასათიანს, რომ ამ დიდი მოძრაობისთვის ეწოდებინა „ვოლტერიანობა საქართველოში“.

ახალი დროის ქართული ფილოსოფიის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იონა ხელაშვილის კომენტარები ლაიბნიც-კლარკის მიმონერაზე. ეს მიმონერა 1823 წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნა ილია ბაგრატიონმა (1790-1854 წწ.), მაგრამ ქართული თარგმანი სრულყოფილი არ არის, რადგან ის ამ მიმონერის მხოლოდ ერთი ვრცელი ნაწილის თარგმანს მოიცავს. იონა ხელაშვილის აღნიშნული კომენტარები ნათლად წარმოაჩენს ამ ავტორის ფილოსოფიური და თეოლოგიური მსოფლმხედველობის არაერთ მნიშვნელოვან ასპექტს და ადასტურებს მის საგანგებო ინტერესს მაშინდელი ევროპული აზროვნების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ღმერთის ცნებასთან მიმართებით იგი აკრიტიკებდა როგორც ლაიბნიცის, ასევე კლარკის შეხედულებებს. სამუელ კლარკი მისი მოძღვრის, ისააკ ნიუტონის პოზიციას იცავდა, რომლის მიხედვითაც ღმერთისა და უმაღლესი არსებების შემეცნების ეფექტურ გზად მათემატიკური მეთოდები იქნა დასახული.

იონა ხელაშვილის აზრით, უმაღლესი არსების სრულყოფილი შემეცნება იმ დისციპლინის

მეშვეობით, რომელიც სხეულთა ზომას თვლის, ვერ მოხერხდება, რადგან „მაღალი სიბრძნე“ არ არის მათემატიკური შემეცნების საგანი. არათუ მათემატიკის მეშვეობით, არამედ თვით ლაიბნიცის მეტაფიზიკის მეშვეობითაც კი ვერ ხერხდება ღმერთისა და სხვა უმაღლესი არსებების შემეცნება.

იონა ხელაშვილი ლაიბნიცისა და კლარკის დავა-კამათში ცალსახად არცერთი მოაზროვნის პოზიციას არ იკავებს. იგი არც ლაიბნიცის მეცნიერული მეთოდოლოგიის მომხრეა და არც კლარკისა. უფრო მეტიც, იგი არცერთი მოაზროვნის მიმართ არ იშურებს კრიტიკას. მას ღმერთის შესამეცნებლად არც ახალი დროის მათემატიკის მეთოდები (ნიუტონი/კლარკი) მოსწონს და არც რაციონალისტური მეტაფიზიკის (ლაიბნიცი) მეთოდოლოგია. იონა ხელაშვილი უპირატესობას ანიჭებს ქრისტიანული მეტაფიზიკის ძველ ტრადიციას და თავის მოძღვრებაში ქრისტიანული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების დიდი ავტორიტეტის, იოანე დამასკელის (675-749 წწ.) ნააზრევს ეყრდნობა.

II. ახალი აზროვნების
მოდელები

ფილოსოფიის დარგები (ორიგინალური ნაშრომები, თარგმანები, კომპენდიუმები)

ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნება იმითაც არის საინტერესო, რომ მასში ამავდროულად პერიოდის ევროპული ფილოსოფიის მთავარი დარგები და ქვედარგები იყო წარმოდგენილი: მეტაფიზიკა, ლოგიკა, ეთიკა, ესთეტიკა, პოლიტიკის ფილოსოფია, სამართლის ფილოსოფია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია. აღსანიშნავია, რომ ამ დარგებს სათანადო ყურადღება ექცეოდა ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში.⁸ ქვემოთ ამ დარგთა მოკლე მონახაზს შემოგთავაზებთ, რომელიც ეყრდნობა იმ პერიოდში ფართოდ გავრცელებულ ორიგინალურ თუ თარგმნილ ნაშრომებს ზემოთ მითითებული დარგების მიხედვით.

8 აღსანიშნავია, რომ ფილოსოფიის დარგებსა და ქვედარგებს დიდი ყურადღება ექცეოდა შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაშიც. აქ, ძირითადად, გამოიკვეთა ფილოსოფიის ორი მთავარი დარგი (თეორიული და პრაქტიკული), რომელიც მრავალი სხვადასხვა ქვედარგისგან შედგება. თეორიული ფილოსოფიის მიზანი ჭეშმარიტების გარკვევა და ნდომბაა, ხოლო პრაქტიკული ფილოსოფიის მიზანი კი არის სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ამის შესახებ დანვრილებით იხ. თ. ირემაძე, ფილოსოფიის რაობა და მისი დარგები შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში, *გაზეთში: „საპატრიარქოს უწყებანი“*, №16 (25 აპრილი – 8 მაისი, 2019 წ.), გვ. 12-13.

I. მეტაფიზიკა

მეტაფიზიკა ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნების გამაერთიანებელი და მაინტეგრირებელი დარგი იყო. ამ პერიოდში შექმნილი უმნიშვნელოვანესი ქართულენოვანი ორიგინალური ფილოსოფიური ტექსტების დიდი ნაწილი, უმეტესწილად, მეტაფიზიკური ხასიათისაა. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ანტონ პირველის „სპეკალი“ (1752 წ.), იონა ხელაშვილის „ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნი“ (1826 წ.) და ა.შ. გარდა ამისა, ქართულ ენაზე ითარგმნა გერმანული სასკოლო ფილოსოფიის საყურადღებო ტექსტებიც, რომლებიც მეტაფიზიკური ბუნებისაა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრიდრიხ ქრისტიან ბაუმაისტერის (1709-1785 წწ.) „მეტაფიზიკა“, რომელიც მისი ვრცელი ნაშრომის „დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა“ ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენს და XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსული ენიდან თარგმნა ანტონ პირველმა. ამ ნაშრომით ქართველი მკითხველი არა მარტო ამ დარგის, არამედ მისი იმ დროს აქტუალური ქვედარგების (ონტოლოგია, კოსმოლოგია, პნევმატოლოგია, ფსიქოლოგია და ბუნებითი ღვთისმეტყველება) შესახებ სანდო და საიმედო ცნობებს იღებდა. ეს ნაშრომი ფართოდ გამოიყენებოდა სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში, რასაც ადასტურებს მისი დღემდე შემორჩენილი ხელნაწერების სიმრავლეც. აღსანიშნავია, რომ ფრიდრიხ ქრისტიან ბაუმაისტერის „მეტაფიზიკა“ ქართულ ენაზე და-

ვით ციციშვილის მიერაც ითარგმნა XIX საუკუნის 20-იან წლებში, თუმცა, ანტონ პირველის თარგმანი გაცილებით ფართოდ ყოფილა გავრცელებული, ვიდრე დავით ციციშვილის თარგმანი.

II. ლოგიკა

ლოგიკა, რომელსაც შუა საუკუნეებში (გვიანანტიკური ფილოსოფიის ტრადიციისამებრ) დიალექტიკად მოიხსენიებდნენ, ახალი დროის ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო აზროვნების ერთ-ერთი მთავარი დარგის სტატუსს იძენს. ლოგიკა სწორი აზროვნების წესების შესახებ მოძღვრებას ავითარებს და სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ეფექტიანად წარმართვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ახალი დროის ქართულ აზროვნებაში მრავალი ლოგიკური თხზულება გავრცელდა ორიგინალური თუ ნათარგმნი სახით. ორიგინალური თხზულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: (1) ანტონ პირველის (ბაგრატიონი) „კატეგორია სიმეტნეჲ“ (1767 წ.); (2) დავით ბატონიშვილის „კატილორია შემოკლებული“ (XVIII საუკუნის დასასრული); (3) სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკა“ (1827 წ.). თარგმნილი ლოგიკური თხზულებებიდან კი უნდა გამოიყოს: (1) დავით უძლეველის „ნიგნი საზღვართა“, რომელიც 1758-1762 წლებში ითარგმნა ფილიპე ყაითმაზაშვილისა და დოსითეოზ ჩერქეზიშვილის (ნეკრესელის) მიერ; (2) 1737 წელს ზურაბ შანშოვანსა და

ვახუშტი ბატონიშვილს უთარგმნიათ არისტოტელეს „პერი ჰერმენეიას“ „შემოკლებული ახსნა“, რომელიც დავით უძღვეველის კალამს ეკუთვნის. იგივე ტექსტი მეორედ ითარგმნა 1762 წელს ფილიპე ყაითმაზაშვილისა და დოსითეოზ ჩერქეზიშვილის (ნეკრესელის) მიერ; (3) სომხური ლოგიკური ტრადიციიდან აღსანიშნავია სიმეონ ჯულაეცის „დიალექტიკა“, რომელიც 1755 წელს უნდა იყოს თარგმნილი ანტონ პირველისა და ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ. გარდა ამ ტექსტებისა, სომხური ენიდან არაერთგზის ითარგმნა თავად არისტოტელეს მნიშვნელოვანი ლოგიკური თხზულებები („კატეგორიები“ და „პერი ჰერმენეიას“).

ახალი დროის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში – ქართული და სომხური ლოგიკური ტრადიციის კვალდაკვალ – სათანადო ყურადღება ექცეოდა ევროპელი მოაზროვნეების ნაშრომებს ლოგიკაში. 1762 წელს ანტონ პირველის მიერ ითარგმნა ფრიდრიხ ქრისტიან ბაუმაისტერის „ლოგიკა“, რომელიც პირველ ნაწილს წარმოადგენს ამავე ავტორის ნაშრომისა „დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა“. 1806 წელს იოანე ბატონიშვილის მიერ ითარგმნა ეტიენ ბონო დე კონდილიაკის „ლოგიკა“; ამას მოჰყვა ფრიდრიხ ვილჰელმ დანიელ სნელეს „ლოგიკა“, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსული თარგმანიდან ქართულად გადმოიღო იოსებ მამაცაშვილმა. აღსანიშნავია, რომ „ლოგიკა“ წარმოადგენს მეორე ნაწილს სნელეს ნაშრომისა „დასაბამითისა გამოცდილებისა ფილოსოფიისა“.

III. ეთიკა და ესთეტიკა

ეთიკა იყო ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც ასევე დიდი ინტერესისა და ყურადღების საგანი აღმოჩნდა ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში. ეთიკა წარმოადგენს „საყოფაქცეო ფილოსოფიას“, რომელიც ზნეობის შესახებ მოძღვრებასა და ზნე-ჩვეულებითი ქცევის წესებს მოიცავს, თანაც, სამოქალაქო თვალსაზრისით, ერთგვარი მაორიენტირებელი ფილოსოფიური დისციპლინის ფუნქციასაც ასრულებს.

ეს დარგი, უმეტესწილად, თარგმანების სახით იყო წარმოდგენილი და მოიცავდა იმდროინდელი ევროპული ფილოსოფიური აზროვნების უდავოდ საყოფადღებო ნაშრომებს, მათ შორის აღსანიშნავია: (1) ფრიდრიხ ქრისტიან ბაუმაისტერის „ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღვრებისა“, რომელიც მისი ზემოთ ნახსენები ნაშრომის „დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა“ მესამე ნაწილს წარმოადგენს და 1762 წელს ანტონ პირველის მიერ ითარგმნა ქართულად; (2) ადამ ფერგიუსონის „ზნეობითი ფილოსოფია“, რომელიც რუსულიდან ქართულად თარგმნა იოანე ბატონიშვილმა 1817 წელს; (3) ჟან ჟაკ რუსოს „ჰაზრნი სხუადა-სხუათა საგანთათჳს“, რომელიც რუსულიდან ქართულად თარგმნა ფარნავაზ ბატონიშვილმა XIX საუკუნის პირველ მესამედში; (4) ფრიდრიხ ვილჰელმ დანიელ სნელეს (1761-1827 წწ.) „ზნეობით-ჰსწავლა და სამართალი ბუნებითი“, რომელიც მისი მთავარი ნაშრომის

„დასაბამითისა გამოცდილებისა ფილოსოფიისა“ მეოთხე ნაწილს წარმოადგენს და XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსულიდან ქართულად თარგმნა იოსებ მამაცაშვილმა; (5) „მარკ-ავრელიანი“ („საყოფაქცეო სჯა“), რომელიც წარმოადგენს იმპერატორ მარკუს ავრელიუსის ეთიკურ მოძღვრებას, რომელიც რუსული ენიდან ქართულად გადმოიღო გაიოზ ეპისკოპოსმა. აღსანიშნავია, რომ ეს თხზულება ქართულ საზოგადოებაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

გარდა ამ ეთიკური თხზულებებისა, უნდა გამოიყოს კიდევ რამდენიმე კომპენდიუმი, რომელიც რუსული ენიდან იქნა თარგმნილი და დიდ ინტერესს იწვევდა ქართველთა შორის. ეს თხზულებებია: (1) „კიტაის სიბრძნე, ანუ სწავლა ქუეყანასა ზედა ბედნიერად ცხოურებისა“, რომელიც XVIII საუკუნის 70-იან წლებში რუსული ენიდან უთარგმნია არქიმანდრიტ გაიოზს. აღსანიშნავია, რომ ეს თხზულება მრავალი ხელნაწერის სახითაა შემორჩენილი და უაღრესად საინტერესო თავებს შეიცავს სათნოებათა შესახებ სწავლების თაობაზე; (2) „განსჯანი არისტოტელისანი კეთილისათვის და ბოროტისა“, რომელიც ლათინური ენიდან 1787 წელს რუსულად შესრულებული თარგმანიდან 1818 წელს ქართულ ენაზე თარგმნა თეიმურაზ ბატონიშვილმა.

ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში ესთეტიკა (ანუ მოძღვრება ხელოვნების შესახებ) არ წარმოადგენდა პრიორიტეტულ დარგს, რასაც კარგად აჩვენებს ამ დარგობრივი მიმართულებით

შესრულებული თარგმანების მცირე რაოდენობა. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ თავად ეს დარგი მთელი თავისი სისავსით მოგვიანებით ჩამოყალიბდა; ფილოსოფიური ესთეტიკის ფუძემდებლად მიიჩნევა ალექსანდრე გოტლიბ ბაუმგარტენი (1714-1762 წწ.), რომელმაც გამოაქვეყნა ნაშრომი „ესთეტიკა“ (1750 წ.). მისი აზრით, ესთეტიკა არის „გრძნობადი შემეცნების შესახებ მეცნიერება“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი მაინც იყო ჟან პიერ ფრედერიკ ანსილიონის (1767-1837 წწ.) ერთ-ერთი ნაშრომის („ესთეტიკებრნი განსჯანი“) ქართული თარგმანი, რომელიც 1815 წელს რუსული თარგმანიდან შეასრულა დავით ბატონიშვილმა. ეს ფრანგი ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოხელე პრუსიაში მოღვაწეობდა ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ის აღმზრდელად. ანსილიონის ეკლექტიკური ფილოსოფია შეიქმნა განმანათლებლობის, რომანტიზმისა და ქრისტიანობის ურთიერთჭიდილის კონტექსტში. მასზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია ედმუნდ ბიორკისა (1729-1797 წწ.) და შარლ ლუი დე მონტესკიეს (1689-1755 წწ.) აზროვნებამ. ანსილიონის მოძღვრების თანახმად, ჰარმონია ცხოვრების საუკეთესო წესია და სახელმწიფოსა და საზოგადოების სამართლიანი და ორგანული განვითარების საფუძველს ქმნის.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ფრიდრიხ ვილჰელმ დანიელ სნელეს ზემოთ დასახელებული ნაშრომის „დასაბამითისა გამოცდილებისა ფილოსოფიისა“ მესამე ნაწილის, „ესთეტიკა ანუ კრიტიკა გემოვსა“ რუსულიდან გადმოღებული ქართული თარგ-

მანი, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეასრულა იოსებ მამაცაშვილმა.

IV. პოლიტიკისა და სამართლის ფილოსოფია

ახალი დროის ქართულ აზროვნებაში პოლიტიკის ფილოსოფია და სამართლის ფილოსოფია პრიორიტეტულ დარგთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. უფრო მეტიც, ამ მიმართულებით ძალიან საყურადღებო ორიგინალური ნაშრომებიც კი შეიქმნა, რაც განპირობებული იყო უძველესი ქართული სამართლებრივი ძეგლებისა და პოლიტიკურ-ორატორული ხელოვნების ტრადიციის ზეგავლენითაც.

ახალი დროის ქართული პოლიტიკური ფილოსოფიისა და აზროვნების საყურადღებო ნიმუშია ქართველი ფილოსოფოსისა და პოლიტიკოსის, ალექსანდრე ამილახვარის (1750-1802) თხზულება „ბრძენი აღმოსავლეთისა“.⁹ ეს ნაშრომი იმერე-

9 ამ ნაშრომისა და მისი ავტორის შესახებ დანვრილებით იხ. გ. ხუროშვილი, ალექსანდრე ამილახვარი (1750-1802 წწ.). „ბრძენი აღმოსავლეთისა“: პოლიტიკური ფილოსოფიის დაფუძნების ცდა ახალი დროის ქართულ აზროვნებაში, *კრებულში*: ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე), კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., გვ. 64-73. T. Iremadze, *Teoria dello stato e teoria del diritto nell'Illuminismo georgiano* (A. Amilachvari e J. Čilašvili), in: *Magazzino di Filosofia*, n. 33 (anno XI, 2018-2019), გვ. 57-71.

თის განთქმულ მეფეს, სოლომონ I-ს ეძღვნება და მრავალ პროგრესულ ფილოსოფიურ, ასევე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეას ავითარებს. ეს მიძღვნა შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ერეკლე II-ის მიერ დევნილი ალექსანდრე ამილახვარი სწორედ სოლომონ I-მა შეიფარა; მადლიერებით აღვსილმა ქართველმა მოაზროვნემ თავისი მფარველი იმერეთის მეფე არა მარტო ბიბლიურ სოლომონს შეადარა, არამედ მას მისებრ კეთილგონიერი და სვიანი მეფობაც უსურვა.

ალექსანდრე ამილახვარი თავის ნაშრომში პოლიტიკური ფილოსოფიის მცირე, მაგრამ უაღრესად საინტერესო პროექტს გადმოსცემს. თხზულება „ბრძენი აღმოსავლეთისა“ ათი თავისგან შედგება და პოლიტიკური ფილოსოფიის აქტუალურ საკითხებს განიხილავს. მასში მეტად შთამბეჭდავი სახითაა გადმოცემული სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის მნიშვნელოვანი საკითხები: მმართველობის (ხელმწიფების) ფორმები, თავადთა, აზნაურთა და მხედართა ფუნქციები, საეკლესიო წესთა ბუნება, ვაჭართა, გლეხთა და მინისმოქმედთა როლი სახელმწიფოს ცხოვრებაში, სამოქალაქო კანონმდებლობის შემოღება, ხელოვნებისა და მეცნიერების მნიშვნელობა, შეიარაღებისა და მშვიდობის პრობლემები და ა.შ.

ალექსანდრე ამილახვარს თავისი ნაშრომით პოლიტიკური ფილოსოფიის დაფუძნება სურდა. კერძოდ, იგი მსჯელობდა ხელმწიფების სამართლიანი ფორმის შესახებ, რომლის საბოლოო მიზანი მშვიდობა უნდა ყოფილიყო. ქართველი მოაზ-

როვნე – კანტის მსგავსად – ომისა და ძალადობის წინააღმდეგ იბრძოდა და განიარაღების იდეით გამოდიოდა. მისი აზრით, თუკი რომელიმე პოლიტიკოსი თავისი ხელმწიფების უამს განიარაღებასა და, საერთოდ, იარაღის გაუქმებას შეძლებს, მაშინ იგი კაცობრიობის სანუკვარ მიზანსა და მდგომარეობას მიაღწევს. ალექსანდრე ამილახვარის აზრით, ადამიანთა ცხოველური ბუნება თავს იჩენს თანამოძმეთა მოკვდინებითა და მკვლევლობით. უფრო მეტიც, ადამიანი იარაღის არამიზნობრივი გამოყენებითა და ძალადობის აღსრულებით თვით ცხოველური ბუნების ქვემოთაც კი ეცემა.

საქართველოში პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარების კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია დავით ბატონიშვილის მიერ 1815 წელს რუსულ ემიგრაციაში ქართულად თარგმნილი ფრანგული აზროვნებისა და, საერთოდ, პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი, შარლ ლუი დე მონტესკიეს „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“ („კანონთა არსი“), რომელსაც ქართველმა მთარგმნელმა თავისი კომენტარებიც დაურთო. მონტესკიეს ეს ნაშრომი სამოქალაქო-პოლიტიკური თავისუფლების იდეას ეხება და სამართლიან საზოგადოებაში თავისუფლად მოქმედი ინდივიდების წინაპირობად და საფუძვლად ხელისუფლების დანაწილების პრინციპს განიხილავს. დავით ბატონიშვილმა მონტესკიეს ამ ნაშრომის რუსული თარგმანი ფრანგულ ორიგინალს შეადარა, მასში რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა

იპოვა და იმაზეც მიუთითა, რომ რუსმა მთარგმნელმა ფრანგული ენა სავარაუდოდ კარგად არ იცოდა, რის გამოც თარგმნილი ტექსტი რთულად გასაგები აღმოჩნდა მკითხველისთვის. დავით ბატონიშვილი, უწინარეს ყოვლისა, აკრიტიკებდა ე.წ. „გეოგრაფიულ დეტერმინიზმს“, მაშასადამე, მონტესკიეს „ფილოსოფიურ კლიმატოლოგიას“, რადგან ეს უკანასკნელი ცივი და ცხელი კლიმატის (ჰავის) მკვეთრ განსხვავებას ახდენდა და ამ ფაქტორს პოლიტიკური თეორიის აგების პროცესში უმნიშვნელოვანეს მომენტად მიიჩნევდა. დავით ბატონიშვილი კი ფიქრობს, რომ კლიმატისა და გეოგრაფიული მუდმივების როლის ზედმეტი ხაზგასმა სამყაროს და კულტურის განვითარების პროცესში გადაჭარბებას წარმოადგენს.

პოლიტიკური ფილოსოფიის კუთხით, ასევე, საყურადღებოა დიდი ქართველი ენციკლოპედისტი მოაზროვნის იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შედგენილი ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტი „სჯულდება“, რომელიც მას მამისთვის, მეფე გიორგი XII-ისთვის წარუდგენია. სამწუხაროდ, ამ საინტერესო გეგმამ რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის გამო რეალიზება ვერ პოვა.

სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის თეორიის კუთხით ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იაგორ ჭილაშვილის (1792-1838 წწ.) მცირე ზომის ნაშრომი „ბუნებითი სამართლის მონახაზი“ (1812 წ.). ეს ტექსტი მისმა ავტორმა იმ დროს შექმნა, როცა

ევროპის წამყვანი ფილოსოფოსები ამ პრობლემატიკას განსხვავებული პერსპექტივებიდან შეისწავლიდნენ. იგი ცდილობდა სამართლის ცნება ისე ფართოდ განეხილა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ადამიანის თავისუფლების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპთა დასაბუთება და განხორციელება. იაგორ ჭილაშვილის ნაშრომი „ბუნებითი სამართლის მონახაზი“ სამი ძირითადი თავისგან შედგება. ეს თავები, თავის მხრივ, მრავალ ქვეთავადაა დაყოფილი. ნაშრომი ბუნებითი სამართლის აქტუალურ პრობლემებს მოხაზავს და ამოსავალ პრინციპად ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას განიხილავს. ყოველი ადამიანი დაბადებიდანვე გრძნობადი არსებაა, რომელიც განსხვავებულ შეგრძნებებსა და სულიერ უნარებს ფლობს. იგი შეიგრძნობს სიხარულს და მწუხარებასაც. ამასთანავე, იგი კოსმოსის მიზეზებსა და პრინციპებსაც ჭვრეტს, შეიმეცნებს კეთილსა და ბოროტს და, ამდენად, იმასაც შეისწავლის, თუ როგორ უნდა დაიცვას თავისი სიცოცხლე. შეიმეცნების ამ პროცესში იგი, უწინარეს ყოვლისა, ბუნების კანონებს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს კანონები იმგვარ წესრიგს ქმნის, რომელშიც ყოველი სახის ქმედებანი (სიხარული, მწუხარება, ტანჯვა და ა.შ.) ხორციელდება. ყველა ამ კანონის ერთობას ბუნებითი სამართალი ეწოდება. ბუნებითი სამართალი მოიცავს ადამიანის იმ ბუნებით უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც სამყაროში ადამიანის არსებობას განაპირობებს.

იაგორ ჭილაშვილის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია ფრანგულმა განმანათლებლობამ და მისმა მთავარმა წარმომადგენლებმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შარლ ლუი დე მონტესკიესა და გაბრიელ ბონო დე მაბლის (1709-1785 წწ.) სამართლებრივი აზროვნების ზეგავლენა. ორივე მოაზროვნემ ადამიანის ძირითადი უფლებები წამოსწია წინა პლანზე და ეს საკითხი სამართლიანი კანონმდებლობის პრობლემას დაუკავშირა. ბუნებითი თანასწორობა და სამართლიანობა, თავისუფლება და სიყვარული, ისევე, როგორც ამ პრინციპებთან დაკავშირებული კერძო საკუთრება და თანაგრძნობა – შარლ ლუი დე მონტესკიესა და გაბრიელ ბონო დე მაბლის ნააზრევადან მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ასპექტი რომ გამოვყოთ – იაგორ ჭილაშვილის მსოფლხედვის ჩამოყალიბების პროცესში გზამკვლევი აღმოჩნდა. მის შემოქმედებაში ამ იდეათა გავლენის აშკარა კვალი იგრძნობა.

კანონშემოქმედებისა და ძალაუფლების დანაწილების პრობლემატიკას საგანგებო ყურადღებას აქცევდა დავით ბატონიშვილი. ეს თემატიკა მისთვის ისე მნიშვნელოვანი იყო, რომ მან (მონტესკიეს ნაშრომის თარგმნამდე ცოტა ხნით ადრე) რამდენიმე მნიშვნელოვანი სამართალმცოდნეობითი ნაშრომი შექმნა: „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა“ (1813 წ.) და „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ (1811-1813 წწ.). ამ ნაშრომებში აშკარად იგრძნობა დიდი ფრანგი განმანათლებლების (მონტესკიე, ვოლტ-

ერი და რუსო) გავლენა. დავითმა სცადა, რომ ტრადიციული ქართული სამართლის საფუძველზე ფრანგული განმანათლებლობის პროგრესული იდეები გაეგრძელებინა. გარდა ამისა, მისი მიზანი ქართული სამართლებრივი ცნობიერების დიდი ტრადიციის პოპულარიზებაც იყო.

V. ფილოსოფიური ანთროპოლოგია

გაბრიელ ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველები“ (1858 წ.) XIX საუკუნის ქართული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან მასში არა მარტო მაშინდელი ფსიქოლოგიის საფუძველმდებარე და აქტუალური პრობლემები, არამედ ფილოსოფიის, თეოლოგიისა და ლოგიკის საკვანძო საკითხებიცაა განხილული. თავის ნაშრომში გაბრიელ ქიქოძე ევროპული აზროვნების მნიშვნელოვან მიღწევებსაც ითვალისწინებდა, უწინარეს ყოვლისა, სამუელ კლარკისა და იმანუელ კანტის მოძღვრებებს. თუმცა, მისთვის ეს საკმარისი არ იყო; გაბრიელ ქიქოძემ ორიგინალური ფილოსოფიური ხედვა წარმოადგინა, რომელიც საკაცობრიო აზროვნების მთელ ტრადიციასა და მონაპოვარს ეყრდნობოდა. მისი ნაშრომი ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძველმდებარე ტექსტს წარმოადგენს ქართულ ფილოსოფიაში.

ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საგანი და ამოცანა ადამიანური ყოფნის არსისა და

სპეციფიკის გამოკვლევაა. XIX საუკუნეში ჩარლზ დარვინის კვლევათა შედეგად ამ მიმართულებით „კოპერნიკისებური გადატრიალება“ მოხდა. ევოლუციის თეორიის ჭრილში ადამიანისა და ცხოველის ურთიერთმიმართების ახალი ასპექტები გამოიკვეთა. ფილოსოფოსები დღენიადაც ცდილობდნენ, რომ ცხოველთან მიმართებით ადამიანის სპეციფიკა გამოეკვეთათ. დარვინმა ამ დისკუსიას კიდევ უფრო მეტი სიღრმე და სიმწვავე შესძინა. მან იმ ტიპის კითხვებიც წამოჭრა, რომლებიც დღემდე პასუხგაუცემელია. ტვინისა და ცხოველთა ქცევის მკვლევარები დღეს ცხოველის ახალ განსაზღვრებას გვთავაზობენ, ხოლო ფილოსოფია კი ამაზე საკუთარი კონცეფციების შექმნით რეაგირებს, რომლებიც, უმეტესწილად, მატერიალისტურ-ნატურალისტური ხასიათისაა. დღეს უკვე „ცხოველთა სულის“ შესახებ განაზრებანი ნეიროფილოსოფიისა და სხვა ფილოსოფიურ დისციპლინათა ერთ-ერთი მთავარი საგანია. ამასობაში, სწრაფად ვითარდება ერთ-ერთი ფილოსოფიური დისციპლინა, „ცხოველთა ეთიკა“, რომელიც ადამიანისა და ცხოველის მიმართების ახალ ასპექტებს ამუშავებს.

ცხადია, აზროვნების განვითარების ეს ტენდენციები გაბრიელ ქიქოძის თვალსაწიერში ვერ მოხვდებოდა; ზოგიერთ ამ ასპექტს იგი, ალბათ, ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჭრილში უარყოფდა კიდევ. მიუხედავად ამისა, ქართველ მოაზროვნეს კარგად ესმოდა ანთროპოლოგიის ძირითადი საკითხი, რომელსაც საგანგებო ყურადღება

დაუთმო კიდევ; ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მთავარი ამოცანა კი შემდეგი საკითხის გარკვევაა: არსებობს თუ არა ადამიანში/ადამიანურ ყოფაში ისეთი განსაკუთრებული რამ, რაც მას ცხოველისგან/ცხოველთა ყოფისგან განასხვავებს? თუკი ასეთი სპეციფიკა არსებობს, მაშინ რა არის ის? ვინც ადამიანის ცხოველზე უპირატესობას ხაზგასმით აღნიშნავს, უმეტესწილად, იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ადამიანი აბსტრაქტულ აზროვნებას ფლობს და მხოლოდ მას შეუძლია ისეთი რთული ინტელექტუალური ფენომენის შექმნა, როგორიც მეცნიერებაა. გაბრიელ ქიქოძემაც მიაქცია ყურადღება ამ უძველეს პრობლემას, თუმცა ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჭრილში სცადა მისი გადაჭრა. იგი ადამიანის განსაკუთრებულობას მის თეორიულ უნარ-ჩვევებში (მაგალითად, მეცნიერების შექმნაში) კი არ ხედავდა, არამედ მის რელიგიურ ბუნებაში. მისი აზრით, ადამიანის ღირსება და განსაკუთრებულობა ის არ არის, რომ მან ცხოველზე მეტი იცის, და არც ის, რომ იგი არამატერიალურ სულს ფლობს (რასაც ცხოველი, სავარაუდოდ, არ ფლობს!). გაბრიელ ქიქოძე ამგვარ ხედვას უარყოფდა. XIX საუკუნის ქართველი მოაზროვნე არაერთი ფილოსოფოსის დიდ შეცდომად იმას მიიჩნევდა, რომ ისინი ცხოველებს სულის არსებობას არ მიაწერდნენ და ამით მათი არსი უბრალო ნივთის არსამდე დაჰყავდათ. გაბრიელ ქიქოძე ამ მოსაზრებას გადაჭრით უარყოფდა; იგი ამ კუთხით თავისივე დროის წინმსწრები მოაზროვნე იყო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ცხოვე-

ელთა სულისა და ცნობიერების შესახებ არსებულ-
 ლი იმ უძველესი თეორიების რეაქტულიზებასაც
 ცდილობდა, რომლებიც უკვე მივიწყებას მისც-
 ემოდნენ. საიდანაც არ უნდა იღებდეს დასაბამს
 მისი ხედვა, ერთი რამ ცხადია: გაბრიელ ქიქოძის
 აზრით, ცხოველები არ არიან უსულო არსებები!
 ეს ის თეზისია, რომელიც მანამდე რენე დეკარტმა
 წამოაყენა და ამით საკმაო გაუგებრობა წარმოშვა
 კიდევ არაერთ მოაზროვნეში.

ცხოველთა ყოფის მთელი სპეციფიკის გათ-
 ვალისწინებით გაბრიელ ქიქოძემ ადამიანსა და
 ცხოველს შორის განსხვავება გამოწვლილვით გა-
 ნიხილა და დაადგინა, რომ ადამიანის/ადამიანუ-
 რი ყოფნის განსაკუთრებულობა და სპეციფიკა
 მის რელიგიურობასა და რწმენაშია საძიებელი.
 მხოლოდ ადამიანს ძალუძს, რომ სამყაროს შემო-
 ქმედთან იყოს კომუნიკაციაში. ამ უნარის გამო
 ადამიანს მთავარი ადგილი უკავია სამყაროში. ცხ-
 ოველს კი არ გააჩნია ღმერთზე ორიენტირებული
 ცნობიერება. ადამიანის განსაკუთრებული ადგილი
 კოსმოსში სწორედ ადამიანის რელიგიურობიდან
 იღებს დასაბამს. ადამიანი, ვითარცა „ხატება
 და მსგავსება ღვთისა“, უპირატეს ადგილს იკა-
 ვებს სამყაროში და ღმერთიც, საბოლოო ჯამში,
 სწორედ ადამიანს ეცხადება.

ფილოსოფიური ღვთისმეტყველება

ქართული ფილოსოფიური აზროვნება ქრისტიანობის წიაღში ჩაისახა. ქრისტიანობაშივე პოვა და შეიძინა მან თვითმყოფადი სახე. ამდენად, ქართული ფილოსოფია თავისი საწყისისეული ფორმით ქრისტიანული ფილოსოფიაა. შემთხვევითი არ არის, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე მისი ფორმაცა და შინაარსიც, ძირითადად, ქრისტიანულ ელფერს ატარებს. ამ დრომდე მოღვაწე დიდი ქართველი ფილოსოფოსები ქრისტიანი ფილოსოფოსები არიან.¹⁰

ქრისტიანული ფილოსოფიის განვითარებამ განაპირობა ის, რომ ახალი დროის ქართულ აზროვნებაში საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების მდიდარ ტრადიციას, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები არიან: ანტონ პირველი (ბაგრატიონი), იონა ხელაშვილი, გაბრიელ ქიქოძე და სხვ.

ფილოსოფიური ღვთისმეტყველება იმ სააზროვნო ტოპოსს ქმნის, რომელიც ქართული თეორიული აზროვნების საძირკველს წარმოადგენს. აქ ჰარმონიულად ერთიანდება ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო კვლევების საზღვრითი

10 ამ საკითხის შესახებ დანვრილებით იხ. თ. ირემაძე, ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, *ჟურნალში*: „უფლის ციხე“. საქართველოს საპატრიარქო, № 2 (თბილისი, 2012 წ.), გვ. 58-64.

თემები და პრობლემები, რაც ამ დარგის ინტერდისციპლინურ ხასიათს გამოკვეთს. ამასთანავე, იქმნება ერთგვარი „გზაგასაყარი“ ფილოსოფიისა და ლვთისმეტყველებისა, რომელიც, თავის მხრივ, ტოპოლოგიური კვლევების აუცილებლობაზე მიუთითებს. მაშასადამე, საფუძველი ეყრება ფილოსოფიური და სალვთისმეტყველო ტოპოლოგიის ისეთ სახეს, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას დღევანდელი თეორიული აზროვნების კონტექსტში იძენს.¹¹ ფილოსოფიისა და ლვთისმეტყველების „გზაგასაყარი“ იმგვარი ტოპოსია, რომელიც ამ ორ განსხვავებულ მეცნიერულ დისციპლინას კვლავაც მოუწოდებს დიალოგისაკენ და ამ დიალოგის მეტად რთული პროცესის ეფექტურად წარმართვის წინაპირობებსაც ამზადებს. ფილოსოფია და ლვთისმეტყველება – სხვადასხვა გზებითა და მეთოდებით – ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებიან: ისინი ეძიებენ სამყაროს პირველსაწყისს, თუმცა, ამ ძიების პროცესში მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან. სა-

11 „გზაგასაყარი“, როგორც აზროვნების ტოპოსი, ქართული აზროვნების ინტერდისციპლინურობისა და ინტერკულტურულობის გამოხატულებას წარმოადგენს. ამასთანავე, ეს ის ფუნდამენტი და ბაზისია, რომელსაც თანამედროვე ქართული აზროვნების განვითარება შეიძლება დაეფუძნოს. ამ საკითხების შესახებ დანვრილებით ვმსჯელობ ჩემს მონოგრაფიაში „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე“. იხ. თ. ირემიძე, ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, თბილისი: „ნეკერი“, 2013 წ., გვ. 12-14.

ფრთხეებისა და დაბრკოლებების გადალახვა ამ ორი დისციპლინის საერთო ძალისხმევით უფრო ნაყოფიერი და ეფექტური რომ შეიძლება გამოდგეს, ამის ნათელი ნიმუშია შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნება და მისი მთავარი წარმომადგენლები: ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. ეს ქართველი ქრისტიანი მოაზროვნეები ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის, გამოცხადებისა და გონების, რწმენისა და ცოდნის, ეკლესიისა და აკადემიის უნივერსალური სინთეზის იდეას განასახიერებენ. ხატოვნად, „პარადიგმატული მეტაფორების“¹² ენაზე რომ ვთქვათ, ისინი იერუსალიმისა და ათენის თავსებადობის, შერიგებისა და ჰარმონიის იდეალს ავითარებდნენ. ერთი სიტყვით, ეს ქართველი ქრისტიანი ღვთისმეტყველები და ფილოსოფოსები იერუსალიმსა და ათენს, საკაცობრიო აზროვნების ამ ორ უდიდეს ნიშანსვეტს შორის არსებული წინააღმდეგობის გადალახვას ცდილობდნენ. სწორედ საკაცობრიო აზროვნების გამოცდილებამ აჩვენა ამ წინააღმდეგობის გადა-

12 „პარადიგმატული მეტაფორ(ებ)ის“ შესახებ იხ. თ. ირემაძე, ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე, გვ. 13. ამ კონცეპტუალური საკითხის თაობაზე იხ., ასევე, ლ. ზაქარაძე, ქართული ფილოსოფიის ახალი პერსპექტივები ინტერკულტურული აზროვნების ქრილიში (განაზრებანი პროფ. თენგიზ ირემაძის ნაშრომზე — „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე“, თბილისი, „ნეკერი“, 2013), იხ.: „კადმოსი“. ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, № 4 (თბილისი, 2012 წ.), გვ. 424.

ლახვის აუცილებლობა.¹³ დიდ ქართველ მოაზროვნეებს საამისოდ მყარი არგუმენტ(ებ)ის მოხმობა შეეძლოთ. ეს არგუმენტი ადამიანის ონტოლოგიურ სტატუსს ეფუძნება. ადამიანი არის სასრული გონიერი არსება, რომლის ყოფითი ძირები სასრულსა და უსასრულოს, საზღვრითსა და უსაზღვროს, მოკვდავსა და უკვდავს შორის არის საძიებელი. უფრო ცხადად რომ ვთქვათ, იგი წარმოადგენს მიკროკოსმოსს, „წინააღმდეგობათა ერთიანობას“, ერთგვარ „სასრულ უსასრულობას“, რომლის არსებობა თავადაც ერთგვარი „გზაგასაყარია“. მაშასადამე, საჭირო ხდება ისეთი თეორიული დისციპლინის არსებობა, რომელიც ადამიანის სამყაროში არსებობის ონტოლოგიურ სტატუსს ადეკვატურად გაიაზრებს. სწორედ ასეთი დისციპლინაა ფილოსოფიური ღვთისმეტყველება. შეიძლება ითქვას, რომ ის ადამიანის არსების, მისი უშინაგანესი ბუნების ყველაზე ნათელი გამოხატვა და ასახვაა. ფილოსოფიური ღვთისმეტყველება სამყაროს, მისი შემოქმედისა და ამ სამყაროს შემოქმედებითი გვირგვინის, ადამიანის ღვთაებრივი არსისა და თაურსაწყისების შესახებ არსებული თეორიული დისციპლინაა. ის ფილოსოფიური აზროვნების საყრდენი ცნებებისა და კატეგორიების ასახვითა და გარდასახვით, მათი საღვთისმეტყველო კონტექსტში გამოყენების გზით აღწევს თავის საკვლევ მიზანს.

13 შდრ. თ. ირემაძე, აზროვნება გზაგასაყარზე: იერუსალიმი და ათენი, იხ.: ლ. შტრაუსი, იერუსალიმი და ათენი, ინგლისურიდან თარგმნა გ. ხუროშვილმა, თბილისი: „საუნჯე“, 2013 წ., გვ. 5-8.

სულხან-საბა ორბელიანი - ცოდნის სისტემატიზების ცდა

სულხან-საბა ორბელიანი ქართული სახელმწიფოს ძნელბედობის უამს მოღვაწეობდა; ამდენად, იგი იყო მძიმე ბედის მქონე ქართველი მოაზროვნე და სწავლული, რომელმაც ბევრი იღვანა საკუთარი სამშობლოს სასიკეთოდ, თუმცა, ამის პასუხად, ზოგიერთი თანამემამულისგან რისხვა და შური ხვდა წილად. სულხან-საბას მოღვაწეობა ქართული აზროვნების ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა, რადგან იგი იყო დიდი მასშტაბის მქონე ქართველი სწავლული. იგი იყო მოაზროვნე, რომელმაც პირველი ევროპული ყაიდის ქართული ლექსიკონი („სიტყვის კონა“, ანუ „ლექსიკონი ქართული“) შექმნა, რომელიც თავისი მიზანდასახულობით ენციკლოპედიური ხასიათისაა, რადგან მასში არა მარტო ქართულ და უცხოურ სიტყვათა მნიშვნელობები და ეტიმოლოგიები განმარტებული, არამედ სამეცნიერო და ფილოსოფიური ცნებებიცაა წინა პლანზე წამოწეული და სათანადოდ ახსნილი. მაშასადამე, ამ ლექსიკონს დიდი სამეცნიერო-ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს!

გარდა ამისა, სულხან-საბა ორბელიანმა, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში მოღვაწეობისას, შექმნა საგულისხმო საღვთისმეტყველო ქადაგებები. მის კალამს ასევე ეკუთვნის საღვთის-

მეტყველო-დოგმატური ხასიათის თხზულება „სამოთხის კარი“, რომელიც ამ ავტორის რელიგიური მრწამსის ამსახველი ნაშრომია და მისი მსოფლმხედველობის დასახასიათებლად მდიდარ მასალას გვანვდის. სულხან-საბა ორბელიანს ასევე ეკუთვნის ლიტერატურული ჟანრის არაერთი შესანიშნავი თხზულება („სიბრძნე სიცრუისა“, „ქილილა და დამანა“ და ა.შ.), რომელიც ქართული მხატვრული აზროვნების საგანძურს წარმოადგენს.

ახალი დროის ქართული ფილოსოფიის ისტორია უნდა დავიწყოთ სულხან-საბა ორბელიანიდან, რომელიც, მართალია, არ იყო ფილოსოფოსი, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, მაგრამ იყო ფართო გაქანებისა და მასშტაბის მქონე ფილოსოფიურად მოაზროვნე სწავლული და ღვთისმეტყველი. იგი იყო „ფილოსოფოსი“, ოღონდ ამ სიტყვის განმანათლებლური გაგებით! განმანათლებლური გაგებით კი ყველა ის მოაზროვნე შეგვიძლია ჩავთვალოთ ფილოსოფოსად, რომელიც სამყაროს ახსნისას გონების პრინციპებს ენდობა და არსებული ცოდნის ერთ საერთო სისტემაში მოქცევას ცდილობს. ამ თვალსაზრისით, სულხან-საბა ორბელიანი დიდი განმანათლებელი იყო!

შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიის რეკონსტრუირებისა და პოპულარიზების საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სულხან-საბა ორბელიანის შრომამ „ლექსიკონი ქართული“. ის, რომ შუა საუკუნეების არაერთი ქართველი მოღვაწე დაავიწყებას არ მიეცა, სწორედ სულხან-საბას ამ თხზულების დამსახურებაცაა! ყრმათა განსას-

ნავლად სწორედ სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“ გამოიყენებოდა. უკიდურესად ღარიბი ქვეყნის შეჭირვებული მდგომარეობა იმას განაპირობებდა, რომ სანთლით საძებარი შეიქნა ქართული წიგნი. სულხან-საბას ამ თხზულებაში წარმოდგენილი მრავალი დებულება ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობიდან (მაგალითად, სულისა და მისი ფუნქციების დახასიათება, მოძრაობის სახეთა განსაზღვრება და ა.შ.) აისახებოდა ყრმათა განსწავლის პროცესზე და, ბუნებრივია, დიდ გავლენას ახდენდა იმდროინდელი ქართული სწავლული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. ახალგაზრდები, რომლებიც „ლექსიკონი ქართულის“ მეშვეობით ენაფებოდნენ ცოდნას, ამასთანავე, ეზიარებოდნენ შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიის სამყაროსა და მის ძირითად დებულებებს!

ამდენად, შუა საუკუნეების ქართული აზროვნების მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და გადაცემის საქმეში სულხან-საბა ორბელიანს დიდი წვლილი აქვს შეტანილი. აქ გვახსენდება იოანე პეტრიწის ფილოსოფიური ნააზრევი და სულხან-საბას „ლექსიკონი ქართულში“ მოცემული მთელი რიგი განსაზღვრებებისა პეტრიწის ნაშრომიდან. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, თუ რამდენად ზუსტად, მართებული სახითა და ფორმით აქვს სულხან-საბას ეს განსაზღვრებანი მოცემული. ამან დიდად შეუწყო ხელი პეტრიწის ფილოსოფიური აზრების დამკვიდრებას ქართველთა ცნობიერებაში. ასეა სხვა შემთხვევებშიც: „ლექსიკონი ქართულში“ მოცემულია ნემესიოს

ემესელის, იოანე დამასკელის და სხვ. ქრისტიანი მოაზროვნეების საკვანძო დებულებები, რომელთა ქართულ ენაზე არსებობა სულხან-საბას მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

სულხან-საბა ორბელიანის საგანმანათლებლო საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია, რადგან უფრო გვიანდელი ხანის საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოში, ხშირად, ეფუძნებოდა მის ნააზრევს. გარკვეული აზრით, „სიტყვის კონაში“ მოცემული სიბრძნისმეტყველების ელემენტები მყარად ჩაიფესვა ქართულ სააზროვნო სივრცეში და იქ სამარადჟამო ადგილი დაიმკვიდრა.

* * *

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობდა სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ლექსიკონები. და მაინც: რისთვის არის საჭირო ლექსიკონი? რას წარმოადგენს საერთოდ ლექსიკონი ან ენციკლოპედია?

ლექსიკონები და ენციკლოპედიები ადრეულ საუკუნეებში დაახლოებით ისეთ ფუნქციას ასრულებდნენ, რასაც დღეს ელექტრონული საძიებელი სისტემები ასრულებენ. ლექსიკონები და ენციკლოპედიები საჭირო იყო იმ ცოდნის თავმოსაყრელად, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა.

სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ფართო თვალსაწიერისა და კარგი განათლების მქონე

მოაზროვნე იყო, მიხვდა, რომ იმდროინდელ საქართველოში ცოდნის სისტემატიზების არავითარი მექანიზმი არ არსებობდა. ამის გარეშე კი რაიმეს სწავლებაზე საუბარი შეუძლებელი იყო. მეცნიერების არსებობა ცოდნის სისტემატიზების გარეშე შეუძლებელია, რადგან მეცნიერების ესა თუ ის დარგი არსებული ცოდნის სისტემატიზებასა და მისი სწავლა-სწავლების მეთოდებს ეფუძნება. მაშასადამე, მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ეფექტურად ხდება ცოდნის გადაცემა, ანუ სასწავლო პროცესის დროს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ეფექტური კომუნიკაცია. მაშასადამე, მეცნიერების არსებობის ფაქტი ცოდნის დაგროვების აქტს ეფუძნება. ცოდნის დაგროვება დღეს, უწინარეს ყოვლისა, ე.წ. „ელექტრონული“ მანქანებისა და სისტემების მეშვეობით ხორციელდება, წინა საუკუნეებში კი ამის ყველაზე ეფექტური საშუალება იყო სხვადასხვა სახის ლექსიკონები და ენციკლოპედიები. ისინი იმ დროისთვის უნივერსალურ საძიებელ საშუალებებსაც კი წარმოადგენდნენ. სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, იგივე „სიტყვის კონა“, იმდროინდელი სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი ფუნდამენტი აღმოჩნდა.

გარდა ამისა, აქ კიდევ ერთი ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ. საქართველოში – შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ვიდრე ახალ დრომდე – ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდი მწირად იყო წარმოდგენილი და ამიტომაც ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭებოდა. როცა სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის შესახებ ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი ანალოგიური ევროპული ლექსიკონები და ენციკლოპედიები, რომლებშიც მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევები იყო აღნუსხული და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ლათინურენოვან დასავლეთში.

ცნობილია, რომ ლათინურენოვანი სამყაროსა და მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო, ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი იყო ისიდორ სევილიელის (დაახლ. 560-636 წწ.), „ესპანეთის დიდი მასწავლებლის“ „ეტიმოლოგიები, ანუ 20 წიგნი საწყისების შესახებ“ (623/630 წ.), რომელშიც ავტორმა მთელი იმდროინდელი საერო და სასულიერო ცოდნის თავმოყრა სცადა. უნდა ითქვას, რომ მან ეს პროექტი წარმატებით განახორციელა, რადგან „ეტიმოლოგიები“ შუა საუკუნეების განმავლობაში სტანდარტულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა.

მართალია, ამ ტიპის სახელმძღვანელო თხზულებებში ბევრი რამ შეცდომითაც იყო მოცემული (თუმცა, საიდან მოხერხდებოდა ცოდნის ისეთი სისტემატიზება, რომ შეცდომებისგან თავი დაგვეღწია?! ამას XXI საუკუნეშიც კი ვერ ვახერხებთ!), მაგრამ ამ ტიპის შეცდომებს ხშირად გასაღების ფუნქციაც აქვთ, რადგან მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება იმის დადგენაც, თუ რომელი მოაზროვნის ნყარო იყო ისიდორ სევილიელი. მთელ რიგ ლათინურენოვან ავტორებთან სწორედ ამგვარი შეცდომების საფუძველზე დგინდება, თუ

ვინ, როდის და კონკრეტულად რა აიღო ისიდორ სევილიელის „ეტიმოლოგიებიდან“. ამის მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ ბერთოლდ მოსბურგელი (XIV ს.), პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ ლათინურენოვანი კომენტატორი, რომელიც ერთ-ერთ პროკლესეულ სიტყვას „antipostaton“ („თვისივე არსით/თავით არსებული“) არასწორი ფორმით იყენებს როგორც „authypostaton“-ს. ბერთოლდმა ამ ბერძნული სიტყვის ლათინიზებული ფორმა გამოიყენა და ის ისიდორ სევილიელის „ეტიმოლოგიებიდან“ აიღო, რადგან მან ბერძნული ენა არ იცოდა.

მაშასადამე, ლექსიკონები და ენციკლოპედიები ინახავს წარსულის მდიდარ ცოდნას. ისინი იმ მხრივაც საყურადღებოა, რომ მათში შეცდომათა ისტორიაცაა აღნუსხული. შეცდომების გათვალისწინება კი ცოდნის წინწანევის მნიშვნელოვანი ფაქტორია.¹⁴

ამდენად, სულხან-საბა ორბელიანი სიახლეე-

14 შუა საუკუნეების დიდი ფილოსოფოსი და თეოლოგი, თომა აკვინელი (1225-1274 წწ.) ამბობდა, რომ განსაკუთრებული რუდუნებით უნდა ყოფილიყო შესწავლილი ჭეშმარიტების მქადაგებელთა მოძღვრება, მაგრამ მათი ნაშრომებიც უნდა ყოფილიყო ყურადღებული, ვინც ჭეშმარიტებას ეძიებდა, თუმცა ვერ მისწვდა მას. ამ მოაზროვნებმაც დიდი საქმე გააკეთეს საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჭეშმარიტების ძიების პროცესში მთლად წარმატებული და ილბლიანი ვერ გამოდგნენ. მათ მიერ გავლილი გზაც ღირებულია, თუნდაც იმის გამო, რომ ჭეშმარიტების ძიების პროცესი მათ მიერ დაშვებული შეცდომებისგან დაზღვეული იყოს.

ბის დამწერგავი მოაზროვნე იყო. მან თავისი დროისა და ეპოქის გამოწვევები ადეკვატურად გაიაზრა და სისტემური აზროვნების საჭიროება დაინახა. სულხან-საბა ორბელიანმა თეორიული აზროვნების ახალი სტანდარტები დანერგა ახალი დროის ქართულ აზროვნებაში.

ანტონ პირველი - „ევროპეიზმი“ ქართულ ფილოსოფიაში

სულხან-საბა ორბელიანის შემდგომ ასპარეზზე გამოდის მთელი რიგი ქართველი მოაზროვნეებისა, რომლებმაც სულხან-საბას მიერ დაწყებული საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძეს, რის შედეგადაც განადგურებას გადაურჩა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურული მემკვიდრეობა. ამდენად, ახალი დროის ქართულ აზროვნებაში შექმნილ ყოველ სააზროვნო დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით კი, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ანტონ პირველის (ბაგრატიონი) თეორიულ ნააზრევს; ასევე, უალრესად მნიშვნელოვანია ანტონ პირველის მიერ თბილისსა (1755 წ.) და თელავში (1782 წ.) გახსნილი სემინარიები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ერთიანი ქართული საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბების საქმეში.

ანტონ პირველი ის მოაზროვნეა, რომელმაც, ფაქტობრივად, პირველმა განახორციელა ქართული სააზროვნო ტრადიციისა და მემკვიდრეობის სისტემური გააზრება. მაშასადამე, მან მოახდინა ამ მემკვიდრეობის სისტემატიზება და შექმნა უალრესად საინტერესო ნაშრომი „წყობილსიტყვაობა“, რომელშიც ქრონოლოგიურად (სისტემურ პრინციპებზე დაყრდნობით) ქართული აზროვნების მნიშვნელოვანი მიღწევებია აღნუსხული, გად-

მოცემული და შეფასებული. „ნეობილსიტყვაობა“ ამ კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომია. ის თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ რას წარმოადგენდა ქართული აზროვნება დასაწყისიდან ვიდრე ანტონის ეპოქამდე. ეს თხზულება სანიმუშო მცდელობაა იმისა, რომ ქართული აზროვნება – იმდროინდელი ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის – თავისი შინა-არსის საფუძველზე იქნეს შესწავლილი და წარმოჩენილი. სწორედ ამის გამო დააარსა ანტონმა ზემოთ მოხსენიებული ორი სემინარიაც, რადგან განათლების პროცესი იმდროინდელ საქართველოში ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო. „ნეობილსიტყვაობის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად წარმოჩნდება, თუკი იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ქართულ კულტურაში დღესაც კი ნაკლებად გვხვდება ისეთი ყაიდის ტექსტები, რომლებიც ქართული ცნობიერების საფუძვლიან ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ანალიზს ეყრდნობა და ამის საფუძველზე მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებას ემსახურება. მაშასადამე, ანტონი იმ ყაიდის ქართველი მოაზროვნეა, რომელიც ტრადიციასა და ინოვაციას შორის დგას, ანუ იგი, ერთი მხრივ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ტრადიციასა და მემკვიდრეობას, რომელიც ქართულ კულტურაში შეიქმნა, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ტრადიციის განახლებასა და მისი აღორძინების პროცესს. ამდენად, ანტონი ტრადიციული (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით!) ყაიდის მოაზროვნე და, ამავე დროს, ინოვატორიც იყო.

* * *

ანტონ პირველის მთელი თეორიული ნააზრევი ინტერპრეტატორული და კომენტატორული საქმიანობის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მან, ფაქტობრივად, შეუძლებელი შეძლო და მის ხელთ არსებული არცთუ მდიდარი მასალიდან მოახერხა ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ცოდნის შეჯამება; ამით მან ქართულ აზროვნებაში იმ დროს არსებული თეორიული ცოდნიდან საუკეთესო მოდელი შექმნა, რაც კი იმ პერიოდში შეიძლებოდა შექმნილიყო. ამის თვალსაჩინო ნიმუშია მისი ზემოთ ნახსენები სახელმძღვანელო თხზულება „სპეკალი“, რომელშიც ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების მთავარი/საკვანძო კატეგორიებია დამუშავებული და გადმოცემული.

ანტონის შემოქმედებითი მოღვაწეობის სანყისისეულ პერიოდში შექმნილი ნაშრომები, გარკვეულწილად, ფილოსოფიური ტრადიციიდან მომდინარე მოძღვრებებით საზრდოობს. ამ პერიოდში ნაკლებად იყო გათვალისწინებული ახალი დროის ევროპული აზროვნების არსებითი მიღწევები, რაც ანტონის გვიანდელი პერიოდის ნაშრომებში ნათლად აისახა და დაფიქსირდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ანტონის ნაშრომზე „კატეგორია, სიმეტრეა“ და ლაიბნიც-ვოლფის სკოლის მიღწევათა გათვალისწინებით შექმნილ კომენტარებზე, ასევე, ამავე სკოლის მიმდევრის, ე.წ. „გერმანული სასკოლო ფილოსოფიის“ თვალსაჩინო წარმომადგენელის, ფრიდრიხ ქრისტიან ბაუმისტიერის

სახელმძღვანელო ნაშრომების ქართულ თარგმანებზე, რომლებიც მან რუსეთში მოღვაწეობის დროს მოამზადა.

ცნობილია, რომ ანტონმა დევნა განიცადა, ის *ექსორია ჰყვეს*, რის შედეგადაც იძულებული იყო რუსეთში გახიზნულიყო. იქ იგი ვლადიმირის მთავარეპისკოპოსი გახდა. ანტონმა ემიგრანტობის დრო იმ ნაშრომების შექმნასა და მომზადებას მოანდომა, რომლებიც მას საქართველოში მის მიერ დაარსებულ სასულიერო სასწავლებლებში ახალი თაობის განსასწავლად გამოადგებოდა. *ექსორიაქმნილი* მღვდელმთავარი, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცა, იმდროინდელი ევროპული მეცნიერების საუკეთესო ნიმუშებს დაენაფა, ქართულად თარგმნა და ათარგმნინა ლაიბნიც-ვოლფის სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომები და იმ დროის ევროპულ ფილოსოფიაზე დაყრდნობით განსწავლა საქართველოში საკუთარი მონაფეები. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთ წამყვან საგანმანათლებლო სივრცეში, კერძოდ, გერმანიაში, ფილოსოფია და სხვა მეცნიერებები ისწავლებოდა სწორედ ლაიბნიც-ვოლფის სკოლის მიმდევართა სახელმძღვანელოებით.

ფრიდრიხ ქრისტიან ბაუმაისტერის ქართულად თარგმნილი თხზულებების კრებული მოიცავს მის არაერთ ფილოსოფიურ ნაშრომს, რომელიც თავად ავტორმა ლათინურ ენაზე შექმნა. თუ რომელი ენიდან თარგმნა ან ათარგმნინა ანტონმა ეს თხზულებები, დღემდე ბოლომდე გარკვეული არ

არის. არსებობს ორი ვერსია: ამ თხზულებათა ქართული თარგმანები ან პირდაპირ ორიგინალიდან, ლათინური ენიდან, ან კიდევ მათი რუსული თარგმანებიდან შესრულდა. სავარაუდოდ, ანტონმა ეს ნაშრომები რუსული ენიდან თარგმნა/ათარგმნინა! ცნობილია, რომ ანტონის მთარგმნელობითი ჯგუფი, უმეტესწილად, რუსული და სომხური ენებიდან (და არა უშუალოდ ორიგინალიდან/ლათინური ენიდან!) თარგმნიდა ფილოსოფიურ ლიტერატურას. გაურკვეველია საკითხი იმის შესახებაც, იცოდა თუ არა ანტონმა ლათინური ენა. ეს პირდაპირი წყაროების მოშველიებით არ დასტურდება. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ მისი მთარგმნელობითი ჯგუფის წევრები სხვადასხვა ენას ფლობდნენ.

ასეა თუ ისე, ანტონ პირველისა და მისი სკოლის აქტიურობის საფუძველზე ქართულ ენაზე ფართო მთარგმნელობითი მოღვაწეობა გაჩაღდა და მომდევნო თაობებს ევროპული სააზროვნო მემკვიდრეობის ათვისების შესაძლებლობა მიეცათ. ანტონის სკოლაში შესრულებულ თარგმანებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელ საქართველოში ფილოსოფიური ცოდნის გავრცელების საქმეში. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული ფრიდრიხ ქრისტიან ბაუმისტერის თხზულებათა ქართული თარგმანების შემცველი არაერთი ხელნაწერი. ხელნაწერთა სიმრავლე მეტყველებს მათი გავრცელების არეალსა და მნიშვნელობაზე. იმ ფილოსოფიური ლიტერატურიდან, რომელიც იმხანად არსებობდა ქართულ სა-

განმანათლებლო სივრცეში, ამ ტექსტებს სწორედ რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

გარდა ამისა, ანტონი არ შეიზღუდა მხოლოდ წმინდა ფილოსოფიით, მან შექმნა ქართული გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელო, „ქართული ღრამმატიკა“ (პირველი რედაქცია - 1753 წ., მეორე რედაქცია - 1767 წ.), რომელიც ფილოსოფიური გრამატიკის გარკვეული მოდელის მიხედვით არის შექმნილი. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ანტონისეული გრამატიკა არის არა მარტო ქართული გრამატიკის პირველი სასკოლო სახელმძღვანელო, არამედ ქართული ენის პირველი გრამატიკაც. მართალია, ის უცხო ენათა გრამატიკების გავლენით არის დაწერილი და არაერთ შეცდომასაც შეიცავს, მაგრამ ანტონის ენობრივი ინტუიციისა და ალღოს წყალობით მასში ქართული ენის მრავალი ენობრივი თავისებურება და სპეციფიკა ადეკვატურად არის აღნუსხული. ზოგიერთი რამ ამ ნაშრომიდან თანამედროვე ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოებშიცაა გათვალისწინებული, რაც იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“ შემდგომი პერიოდისა და თანამედროვე ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოთა წინამორბედეა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ანტონმა ქართულ საგანმანათლებლო-ფილოსოფიურ სივრცეს გააცნო გერმანული სასკოლო ფილოსოფიის წარმომადგენელთა ნაშრომები, რომლებიც ფილოსოფიური სისტემის ყოვლისმომცველ საკითხებს ეხებოდა. მათში წარმოდგენილი იყო ლაიბნიც-ვოლფიანური

მეტაფიზიკისა და ფიზიკის სხვადასხვა ასპექტი, რომლებიც იმ პერიოდის რუსეთში პოპულარული და ფართოდ გავრცელებული იყო.

ამ დიდი ფილოსოფიური მემკვიდრეობის ქართულ ნიადაგზე დანერგვა, ცხადია, იმდროინდელ ევროპულ ცივილიზაციაში საქართველოს ცნობიერი ჩართვის აუცილებელი წინაპირობა იყო, რადგან ამ მემკვიდრეობის გარეშე არ არსებობს „ევროპეიზაციის“ პროცესი. ეს პროცესი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ანტონმა და სხვა ქართველმა მოაზროვნეებმა ევროპული კულტურის დიადი ქმნილებები თარგმნეს და ქართულ სააზროვნო სივრცეში შემოიტანეს. „ევროპეიზაცია“ ევროპული კულტურის დიადი ნიმუშების ათვისება-გათავისების გარეშე წარმოუდგენელია. ამის წინაპირობა კი ამ ქმნილებათა ქართულ ენაზე ამეტყველება და გავრცელებაა. ასე ჩაეყარა საფუძველი ახალი ევროპული ცნობიერების დაბადებას საქართველოში. ამ თვალსაზრისით ანტონი სანიმუშო მოაზროვნეა, რადგანაც მან უნიკალური, ეპოქალური ძვრები განახორციელა ახალი დროის ქართულ აზროვნებაში.

იონა ხელაშვილი - ფილოსოფიური ღვთისმეტყველების მოძღვარი

*„მშობელის მოვალეობა არის,
რომე შვილნი ნურილში
აღზარდონ და მით აცნობონ ღმერთი.“
იონა ხელაშვილი*

ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნების მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის იონა ხელაშვილსა და მის მდიდარ თეორიულ შემოქმედებას. იგი არა მარტო ღრმადგანსწავლული ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, არამედ დიდად დამსახურებული სასულიერო პირი იყო. იგი გახლდათ სამშობლოს უბედობით რუსეთში გახიზნულ ქართველთა (მეტადრე, თავადთა და აზნაურთა) სულიერი მოძღვარი, დიდი ნუგეშისმცემელი საქართველოს მძიმე ბედით შეწუხებული ქართული ემიგრაციისა.¹⁵

იონა ხელაშვილის კალამს ეკუთვნის მეტად საგულისხმო ნაშრომები ბიბლიურ თემებზე (მაგალითად, მოსეს ხუთნიგნეულის, მაკაბელთა ნიგნებისა და ფსალმუნთა განმარტება), ასევე, საეკლესიო სწავლებათა შესახებ მრავალრიცხო-

15 იონა ხელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დანერჩილებით იხ. მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2017 წ.

ვანი განმარტებანი. იგი იყო დიდი, საშუალო და მცირე ზომის კატეხიზმოთა და საყურადღებო ქადაგებათა ავტორი. მიუხედავად ამისა, იონა ხელაშვილის დამსახურება ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო აზროვნების წინაშე მაინც მის იმ თეორიულ ნაშრომებში უნდა ვეძიოთ, ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების დაფუძნებას რომ ეძღვნება.

იონა ხელაშვილმა ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ქრისტიანული მოდელი დამაჯერებლად გადმოსცა და განავითარა თავის მთავარ ნაშრომში „ოცდათოთხმეტი შეკითხვის წიგნი“.¹⁶ ეს ნაშრომი დიალოგის ფორმითაა შექმნილი და ახალი დროის ქართული აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნარმოცდგენლის, იოანე ბატონიშვილის მიერ იონა ხელაშვილისადმი დასმულ ოცდათოთხმეტ შეკითხვაზე გაცემული პასუხების კრებულს წარმოადგენს. ეს ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ერთგვარი შეჯამებაა და ქართველი ავტორის მსოფლხედვის არსებით ასპექტებს მოიცავს. იონა ხელაშვილი ამ ნაშრომში წარმოგვიდგება სოკრატული ყაიდის ფილოსოფოსად და ღვთისმეტყველად; იგი აქ ქართული დიალოგური ფილოსოფიური ღვთისმეტყველების საფუძვლებს აყალიბებს. იგივე სახით წარმოდგება იგი იოანე ბატონიშვილის თხზულებ-

16 იონა ხელაშვილი, ოცდათოთხმეტი შეკითხვის წიგნი (ფილოსოფიური ნაწილი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო გ. დედაბრიშვილმა, თბილისი: „მეცნიერება“, 1967 წ.

ბაში „კალმასობა“, რომელშიც ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო აზროვნების სიღრმე და სინატიფე ხალასი ცოდნითა და ერთგვარი ბრძნული იუმორითაა გადმოცემული.¹⁷ ეს „მხიარული სიბრძნე“, ე.წ. „ხუმართსწავლა“ ის ფილოსოფიური ქვაა, რომელსაც ახალი დროის ქართული თეორიული აზროვნების თვალსაჩინო ნიმუშები (შდრ. სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ის, იოანე ბატონიშვილის და ა.შ. ნაშრომები) ეფუძნება.

იონა ხელაშვილის ფილოსოფიური ღვთისმეტყველება დასაბამს იღებს მისი განსწავლის ადრეული წლებიდანვე. იგი თავისი ნაშრომის („ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნი“) დასაწყისშივე თავად გვამცნობს, რომ მეფე გიორგი XII-ის დიდი მონდომებითა და მონადინებით თავდაპირველად განისწავლა „თელავის შკოლასა შინა“, მაშასადამე, თელავის სასულიერო სემინარიაში. ეს საგანმანათლებლო ცენტრი ანტონ ბაგრატიონისა და მისი სკოლის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო იდეალებს ემსახურებოდა, რომელიც ამ ორი დისციპლინის ჰარმონიის მოდელს ეფუძნებოდა. საქართველოში მიღებული ფილოსოფიური და

17 იონა ხელაშვილის ეპისტოლური არქივი (1809-1835 წ.წ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გ. დედაბრიშვილმა (ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი VI-VII), თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2000 წ., გვ. 100: „და დაბადების ოდენა წიგნი დაწერა, თორმეტი წელიწადია ჰსწერს იოანე ბატონიშვილი ჩემს სახელსა ზედა, ე.ი. მალაპარაკებს ყოველსავე ჰსწავლასა – სულიერსა და ხორციელსა.“

საღვთისმეტყველო განათლება იონა ხელაშვილმა რუსეთში სრულყო. იოანე ბატონიშვილის ძმის, გიორგი XII-ის ერთ-ერთი ვაჟის, დავით ბატონიშვილის ძალისხმევითა და რუსი მონარქის, ალექსანდრე I-ის განკარგულებით, იგი ალექსანდრე ნეველის სასულიერო აკადემიაში მიიღეს. იგი აქ (ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების კლასში) ფრიად განისწავლა ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში, საღმრთო ისტორიასა და დოგმატიკაში, გრამატიკაში, არითმეტიკაში და ა.შ.

ამრიგად, იონა ხელაშვილმა განსაკუთრებით კარგად შეისწავლა ქრისტიანული ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, რამაც მას შესაძლებლობა მისცა ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ახალი მოდელი დაეფუძნებინა. იგი კარგად აცნობიერებდა ამ დარგის ინტერდისციპლინურ ხასიათს და ამიტომ სწერდა იოანე ბატონიშვილს, რომ ეს ახალი დარგი ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების საზღვრით სფეროს ქმნის და ამ ორი დისციპლინის გზაგასაყარზეა განთავსებული. სწორედ ამის გამო მის დასაუფლებად და შესასწავლად მეცნიერების მრავალი სხვა დარგის ათვისებაცაა საჭირო; ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების გარდა, ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების სპეციალისტი უნდა ერკვეოდეს შემდეგ დარგებშიც: რიტორიკა, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, ბიბლესტიკა, ასევე, კლასიკურ ენებშიც (ებრაული, ბერძნული, ლათინური) და ა.შ.

ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ხელაშვილისეული მოდელი ხილულისა და უხილა-

ვის იმგვარ გაგებას ეფუძნება, რომელიც უარყოფს „მარცხულთა ფილასოფოსკათა“ „ცოფიან სიბრძნესა“ და ანტი-მოდღვრებას. „კამკამა სიბრძნის წყაროთა“ ვერმცნობი პირნი ვერასოდეს ეზიარებიან ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ტკბილ ნაყოფს; ისინი განრიდებულნი არიან სულიწმიდის მადლს და მათ სულებში „არა შევალს სიბრძნე“.

იონა ხელაშვილი კარგად აცნობიერებს საკუთარი თეორიული აზროვნების თაურსაწყისს, რომელიც ჩაფესვილია ქართული ქრისტიანული აზროვნების წიაღში. თავისი ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ერთ-ერთ არსებით დანიშნულებად მას მიაჩნია, რომ თანამემამულეებს გააცნოს და შეაყვაროს თვისი „მამულის წიგნები“. გარდა ამისა, „ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნი“ და მასში მოცემული ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო მოძღვრება, ე.ი. ქრისტიანული ფილოსოფიური ღვთისმეტყველება „სულის საგზლად“, „სულთა მკურნალობისთვის“ არის გამიზნული.

იონა ხელაშვილის თანახმად, ფილოსოფიური ღვთისმეტყველება რთულსა და კომპლექსურ სააზროვნო სისტემას („რთულ ლექსს“) წარმოადგენს. მასში ორივე დისციპლინა თანასწორადაა წარმოდგენილი, „ორნივე მეტყველია“ და ის „დიადი წიგნების“ სულიერ საუნჯეს ეფუძნება. ამდენად, ქრისტიანული ფილოსოფიური ღვთისმეტყველება, უწინარეს ყოვლისა, ძველი და ახალი აღთქმის სიბრძნეს ასახავს სპეციფიკური ფილოსოფიური ფორმით.

იონა ხელაშვილი ახალი დროის ქართულ აზ-

როვნებაში იმ ყაიდის ფილოსოფოსი ღვთისმეტყველია, რომელიც შუა საუკუნეების ქართული საღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო ტრადიციის ერთგულ გამგრძელებლად გვევლინება. მისი თეორიული აზროვნება ინტერდისციპლინური ხასიათისაა და ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ქრისტიანული მოძღვლის სახითაა წარმოდგენილი.

**III. კავკასიური ფილოსოფიის
კონტექსტი**

კავკასიური ფილოსოფიის იდეის აქტუალობა

უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ კავკასიური ფილოსოფიის ისტორიოგრაფიული კონცეფცია სისტემურად დამუშავდეს და თანამედროვე კავკასიელ მოაზროვნეებთან ერთად იქნეს განხილული. ეს პროექტი თავისი არსით გარეგადამწვდომი პროექტია. იდეა კავკასიური ფილოსოფიის შესახებ საერთო საკაცობრიო ფილოსოფიის კონტექსტშიც ღირებულია, რადგან ის წარმოადგენს კავკასიის რეგიონში არსებული ნაირგვარი ფილოსოფიების სისტემურ ხმას. ეს ახალი ფილოსოფიურ-ისტორიული კატეგორია, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იმის გამო იქცევს, რომ ის ფილოსოფიის ისტორიაში არსებული საგრძნობი ნაკლის შევსებას ისახავს მიზნად. თუმცა, ყოველი ახალი იდეის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდ როლს ითამაშებს ის იმ სააზროვნო სივრცეში, სადაც წარმოიშვა. ახალი კავკასიური ფილოსოფიის ცნებობრივი „დაბადების ადგილი“ არის საქართველო, რადგან აქ ხდება მისი ისტორიული ლეგიტიმაცია და სისტემური დამუშავება. ამდენად, უნდა გამოჩნდნენ ახალი ყაიდის სწავლულები, რომლებიც ამ იდეას განავითარებენ და კიდევ უფრო მეტად დააკონკრეტებენ.

შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება ის,

თუ რამდენად გაითავისებენ ამ იდეას ჩვენი მოძმე კავკასიელი ხალხები. მართალია, ამ იდეის გათავისება-ვერგათავისებით თავად ამ იდეის აბსტრაქტულ შინა-არსს საფრთხე ნაკლებად ემუქრება, მაგრამ მისი სიცოცხლისუნარიანობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ქმედით სამუშაო ჰიპოთეზად ჩამოყალიბდება კავკასიური ფილოსოფიის კონცეფცია და რამდენად რეციპირებული იქნება ის თავად კავკასიის რეგიონის სხვადასხვა ფილოსოფიურ სივრცეში. გარდა ამისა, ამ იდეის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად მოხდება მისი ჩართვა თანამედროვე ევროპული ფილოსოფიისა და ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის კონტექსტში.

კავკასიური ფილოსოფიის დაფუძნება

I

ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ის არის, რომ ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „ტრანსნაციონალურ“ და „ინტერნაციონალურ“ ფილოსოფიურ დისკუსიებს. ამ საქმის ერთ-ერთი შემოქმედი იყო ანტონ პირველი და მისი ფილოსოფიური სკოლა. ანტონის სკოლაში მოღვაწეობდნენ მოაზროვნეები, რომლებიც ქართულ-სომხური ფილოსოფიური ურთიერთობების პროცესში აქტიურ როლს თამაშობდნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ სომხური წარმოშობის სწავლულები, რომლებიც სომხური ენიდან ქართულად და, პირიქით, ქართული ენიდან სომხურად თარგმნიდნენ. ამ პერიოდში განსაკუთრებით ბევრი ითარგმნა სომხურიდან ქართულად და დასაბამი მიეცა ქართველ და სომეხ სწავლულთა ურთიერთანამშრომლობის უნიკალურ ფაქტს: თუკი კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული დაფუძნებისა და ლეგიტიმაციის შესახებ ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ანტონისა და მისი სკოლის თეორიული მიღწევები! ანტონის სკოლა იმის უნიკალური განსახიერება იყო, თუ როგორ შეიძლება თანამშრომლობდნენ ორი განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები ერთმანეთთან და საერთო (კავკასიურ) საქმეს აკეთებდნენ.

მაშასადამე, კავკასიური ფილოსოფიის ძირები, გარდა შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიაში არსებული ბევრი საერთო შეხების წერტილისა, საძიებელია ახალი დროის ქართულ აზროვნებაში – კერძოდ კი, ანტონისა და მისი სკოლის მიერ სომეხ სწავლულებთან წამოწყებულ სამეცნიერო ურთიერთობებში. XVIII საუკუნეში არსებული ქართულ-სომხური ფილოსოფიური ურთიერთობები, რომლებსაც „კავკასიური ფილოსოფიური ურთიერთობები“ შეიძლება ეწოდოს, ნაყოფიერი, მრავლისმომცველი და მრავლისმომცემი აღმოჩნდა. თუკი ისტორიული თვალსაზრისით კავკასიელთა ფილოსოფიური თანამშრომლობის ეტაპებს გამოვიკვლევთ, მაშინ უნდა გამოიყოს ორი მნიშვნელოვანი ეტაპი: 1. შუა საუკუნეებში არსებული საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობა ქრისტიანული ფილოსოფიის სფეროში, რაც აისახა იმ პერიოდის ქართულენოვანი ტექსტების თარგმანებსა და კომენტარებში სომხურ ენაზე. 2. ახალი დროის ქართულ და სომხურ ფილოსოფიაში არსებული სამეცნიერო ურთიერთობები.

შუა საუკუნეებში პროკლეს ფილოსოფია სომხეთში ცნობილი გახდა ქართული თარგმანისა და კომენტარის წყალობით, ისევე, როგორც არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართული თარგმანიდან სომეხმა ავტორებმა ამ ტექსტის სომხური თარგმანი მოამზადეს. მაშასადამე, ანტიკური და ქრისტიანული ფილოსოფიის გარკვეული ნიმუშები სომხური სამყაროსთვის ცნობილი გახდა ქართული ენიდან

შესრულებული თარგმანების მეშვეობით. თუმცა, ძალიან საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სომეხმა ავტორებმა ქართველ მთარგმნელებზე ადრე თარგმნეს „არეოპაგიტული კორპუსი“. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი სომეხი მოაზროვნეების ყურადღების ცენტრში უფრო ადრე მოექცა, ვიდრე ქართველთა ყურადღების ცენტრში. ქრისტიანული აზროვნების ეს მნიშვნელოვანი ძეგლი ქართულად პირველად ეფრემ მცირემ თარგმნა. ეფრემ მცირე რუისურბნისის საეკლესიო კრებისთვის (1103 წ.) გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო (ამას მოწმობს თავად ამ საეკლესიო კრების „ძეგლისწერა“); მაშასადამე, „არეოპაგიტული კორპუსი“ ქართულ ენაზე ეფრემ მცირემ XI საუკუნეში თარგმნა. ამ კონტექსტში ისმის რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა: საინტერესოა, სომხურ თარგმანს ქართულ თარგმანზე რაიმე ზეგავლენა ხომ არ მოუხდენია? ქართულ აზროვნებაში ხომ არ ფიქსირდება რაიმე კვალი არეოპაგიტული წიგნების სომხური თარგმანისა?

თავად „არეოპაგიტული კორპუსის“ გადმოცემისა და ტექსტის აღდგენა-დადგენის პროცესსა და ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თხზულებათა სომხურ ვერსიებს. დიდი მნიშვნელობა აქვს არეოპაგიტული თხზულებების ქართულ ვერსიებსაც, მით უმეტეს, თუკი იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ენაზე დაცულია „არეოპაგიტული კორპუსის“ მაქსიმე აღმსარებლისეული კომენტარები, რომლებიც უნიკალური საგანძურია ამ ნაშრომის განვითარების ისტორიიდან.

II

ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული ფილოსოფიის მნიშვნელოვანი ტექსტები ითარგმნებოდა როგორც ქართულად, ასევე სომხურადაც; თარგმანისა და მისი გავრცელების პროცესში კი დასაბამი მიეცა იმ დიდ სააზროვნო ნაკადს, რომელსაც „კავკასიური ფილოსოფია“ ვუნოდეთ. ამ ცნების ლეგიტიმურობის შესახებ საუბრისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში არავის უცდია მსგავსი ცნების შემოტანა. ცნობილია, რომ კავკასიის რეგიონით დაინტერესებული მეცნიერები საუბრობდნენ „კავკასიური ისტორიის“, „კავკასიური ენათმეცნიერების“, „კავკასიური ხუროთმოძღვრების“ და ა.შ. შესახებ, მაგრამ „კავკასიური ფილოსოფიის“ შესახებ მსჯელობას იმ უბრალო მიზეზის გამო ერიდებოდნენ, რომ:

1. კავკასიაში არსებული ფილოსოფიური აზროვნება, მიმდინარეობები და მოაზროვნეები ერთიან კონტექსტში სათანადოდ გამოკვლეული არ იყო.
2. საერთო რელიგიური ერთობისა და ენობრივი იდენტობის გარეშე უაღრესად რთული წარმოსადგენი აღმოჩნდა საერთო ფილოსოფიასა და ფილოსოფიურ სანყისზე საუბარი.

კავკასიის რეგიონი რელიგიური მრავალფეროვნებითაც ხასიათდება. ცნობილია, რომ სომხები მონოფიზიტი ქრისტიანები არიან, ხოლო

ქართველები კი დიოფიზიტი (მართლმადიდებელი) ქრისტიანები. ეს ასპექტიც კი – ქრისტიანობის წიაღში არსებული რელიგიური სახესხვაობა – აფერხებდა საერთო ფილოსოფიური დისკურსის პროცესს, რის გამოც შეუძლებელი გახდა საერთო კავკასიური ფილოსოფიის ცნების შექმნა და დამკვიდრება ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში.

პირობითად, „კავკასიური ფილოსოფია“ შეგვეძლო გვეწოდებინა იმ ტიპის სამეცნიერო-ფილოსოფიური კრებულისთვისაც, რომელშიც ყველა დიდი კავკასიელი მოაზროვნის ფილოსოფიურ მიღწევას აღვზუსტავდით (აქ თავს მოიყრიდა გამოკვლევები დავით უძღვეელის, იოანე პეტრიწის, სიმეონ ჯულაეცის, ანტონ პირველისა და ყველა იმ დიდი მოაზროვნის შესახებ, ვინც კი კავკასიაში მოღვაწეობდა), მაგრამ ამით ვერ მოვიცავდით კავკასიური ფილოსოფიის ცნების მთელ შინაარსს. კავკასიური ფილოსოფიის შესახებ განაზრებანი ქართულ ფილოსოფიაში ყველაზე ინტენსიურად დღეს მიმდინარეობს; ამიტომ ის მზარდი და მრავალმხრივი პროცესია.

კავკასიაში, კერძოდ კი, სომხეთსა და საქართველოში მოღვაწე ზოგიერთი ავტორის ფილოსოფიას ორმხრივი რეციპირების გარკვეული ისტორია აქვს და ის კავკასიის რეგიონში აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგანიც კი იყო. ამ კუთხით, კავკასიური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი ავტორები არიან დავით უძღვეელი და იოანე პეტრიწი. დავით უძღვეელი, სავარაუდოდ, როგორც სომხეთში, ასევე საქართველოშიც მოღვაწეობდა, ხოლო

იოანე პეტრინის მიერ თარგმნილი და კომენტირებული პროკლე დიადოხოსის ნაშრომი „თეოლოგიის სანყისები“ საფუძვლად დაედო კავკასიური ფილოსოფიის იდეის განვითარების პროცესს და საერთო კავკასიური ფილოსოფიის მყარი ფუნდამენტიც კი იყო. მანამდე კი, ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კერა იყო ფაზისის რიტორიკული სკოლა, რომელიც გვიანი ანტიკურობის ხანაში არსებობდა და ბერძნული ფილოსოფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა კავკასიის რეგიონში.

მაშასადამე, ფილოსოფიის ისტორიოგრაფიული ტერმინი „კავკასიური ფილოსოფია“ ლეგიტიმაციას პოულობს შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ქართველი და სომეხი მოაზროვნეების მოღვაწეობის შედეგად, მათი ნააზრევის ტრანსკულტურული და ტრანსნაციონალური შეფასების საფუძველზე. თუმცა, შუა საუკუნეების სომხური და ქართული ფილოსოფიური ტექსტების არცთუ დიდი რაოდენობის გამო, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ ამ პერიოდის კავკასიური ფილოსოფიის მრავალი დოკუმენტი დაკარგულია, ვერ შევძლებთ ამომწურავად დავახასიათოთ შუა საუკუნეების კავკასიური ფილოსოფიის ბუნება.

ანტონ პირველის ფილოსოფიურ-მთარგმნელობითი სკოლა და მისი თეორიული საქმიანობა კიდევ უფრო ამყარებს კავკასიური ფილოსოფიის ცნებას, რადგან ანტონმა და მისმა სკოლამ უშუალოდ გაშალა ქართულ-სომხური ფილოსოფიური ურთიერთობების ასპარეზი.

როცა კავკასიური ფილოსოფიის შესახებ ვსაუბრობთ, უნდა გამოვკვეთოთ ის სპეციფიკური ნიშან-თვისებები, რაც მას გამოარჩევს სხვა გეოგრაფიულ რეგიონთა ფილოსოფიებისგან. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ევროპული ფილოსოფიის შესახებ, ახლა კი ფილოსოფიის ისტორიაში ჩნდება ისეთი ისტორიოგრაფიული კატეგორია, როგორც არის „კავკასიური ფილოსოფია“, რომელიც რეგიონალური ფილოსოფიის ნაირსახეობაა და, გარკვეული აზრით, ცალმხრივად გაგებულ, ვინრო ნაციონალური ფილოსოფიის საზღვრებს მიღმაც კი გადის. მაშასადამე, ის ფილოსოფიის ვინრო ნაციონალურ საზღვრებს გადალახავს და – რეგიონალური მნიშვნელობის მოპოვების გზით – უნივერსალური აზროვნების აუცილებლობას აჩვენებს. თუკი ამ ცნების პოლიტიკურ განზომილებასაც გავითვალისწინებთ, მაშინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება ამ კონცეფციის როლი, რადგანაც კავკასიის რეგიონი პოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე რთული და მრავალსახა რეგიონია მთელ მსოფლიოში. კავკასია კონფლიქტებით სავსე რეგიონია და რამ უნდა გააერთიანოს ამ რეგიონის ხალხები, თუ არა საერთო ძირების პოვნამ და ინტერკულტურული დიალოგის პროცესმა?!

III

კავკასიური ფილოსოფიის იდეა გვესახება ისეთ სამუშაო ჰიპოთეზად და კონცეპტად, რომელიც კავკასიის რეგიონში არსებული მძიმე პოლი-

ტიკური, იდეოლოგიური და სხვა ტიპის წინააღმდეგობების გადალახვას და დიალოგის მნიშვნელობის წარმოჩენას შეუწყობს ხელს. მშვიდობიანი კავკასია (ამ საკითხის პოლიტიკური ასპექტი რომ გავითვალისწინოთ!) სანუკვარი ოცნება იყო არაერთი დიდი კავკასიელი მოაზროვნისა (მაგალითად, ილია ჭავჭავაძისა და სხვ.). კავკასიური სახლის ერთობისა და მშვიდობის გარეშე ძალიან რთული იქნება ამ რეგიონის ხალხთა თანაცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში არაერთი პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტია, უნდა გამოიძებნოს ყველა გზა საიმისოდ, რომ კავკასიელი ხალხების თანაცხოვრება შესაძლებელი გახდეს. ამ საქმეში დადებითი როლი შეუძლია ითამაშოს საერთო კავკასიური ფილოსოფიის იდეამაც.

აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, საჭიროა კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული ლეგიტიმაცია. უნდა გამოიკვეთოს ავტორები, რომლებმაც ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სააზროვნო წანამძღვრები შექმნეს. კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული ლეგიტიმაციის კონტექსტში, ასევე, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს კავკასიური ფილოსოფიის სპეციფიკური ისტორიული თემატიკა, რომელიც კავკასიელი მოაზროვნეების საგანგებო ყურადღების საგანი იყო. ეს თემატიკა მრავალ ავტორს და ტრადიციას მოიცავს; აქ მათგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: პითაგორა, პლატონი, არისტოტელე, ანტიკური ხანის ნეო-პლატონიზმი (პროკლე დიადოხოსი), ქრისტიანული

ნეოპლატონიზმი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) და სხვ. გარდა ამისა, უნდა გამოიკვეთოს სისტემურ-ფილოსოფიურ პრობლემათა ის წრე, რომელიც კავკასიური ფილოსოფიის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა და მას სხვა ფილოსოფიებისგან გამოარჩევს. ამ კუთხით, სამომავლოდ, მრავალი კონკრეტული ისტორიულ-ფილოსოფიური კვლევაა განსახორციელებელი.

თუკი კავკასიური ფილოსოფიის ცნება/იდეა სამომავლოდ სამუშაო ჰიპოთეზა/კონცეპტი გახდება, მაშინ მას პოლიტიკური განზომილებაც ექნება. თუკი კავკასიის რეგიონში არსებული პოლიტიკური კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების გადაჭრის პროცესში ფილოსოფიური ასპექტი არ იქნა ჩართული, მაშინ მართლაც ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა იქნეს ნაპოვნი ოპტიმალური გამოსავალი კავკასიაში დღეს არსებული პოლიტიკური ჩიხიდან. არადა, კავკასიელ ხალხთა შორის დიალოგის გზას ალტერნატივა არ აქვს და საამისოდ კომუნიკაციის ყველა ეფექტური საშუალება და რესურსი უნდა იქნეს გათვალისწინებული. სწორედ ამ კუთხით გამოყენებული უნდა იქნეს *ფილოსოფიური ენის* ამოუწურავი შესაძლებლობები, რადგან ფილოსოფია უნივერსალური დისკუსიის საშუალებებს ფლობს, ის (თავისი არსისა და მონოდების თანახმად) ადამიანთა შორის უნივერსალური კომუნიკაციის დამყარებას ესწრაფვის და იმ საზოგადო მასშტაბების დადგენას ცდილობს, რომლებიც სამყაროს მკვიდრთა მშვიდობიანი თანაარსებობის მყარი საფუძველია.

კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული ლეგიტიმაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კავკასიურ ფილოსოფიას გარკვეული საყრდენი მოეპოვება XX საუკუნის საბჭოთა ფილოსოფიაშიც. ფაქტია, რომ XX საუკუნის იდეოლოგიზებულმა საბჭოთა ფილოსოფიამ მოახერხა და საბჭოთა ხალხების ფილოსოფიური ურთიერთობები მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს. ამ პერიოდში ხდებოდა კავკასიელ (ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ) ფილოსოფოსთა შორის მჭიდრო თანამშრომლობა, მათი მონაწილეობით იმართებოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები. მართალია, XX საუკუნის საბჭოთა ფილოსოფია, უმეტესწილად, ნეგატიური ფენომენი იყო, მაგრამ ამ ნეგატიურობის მიღმა გარკვეული პოზიტიურობაც შეგვიძლია დავინახოთ, რადგან ყოველ ნეგატიურობაში რაღაც პოზიტიურობაცაა. ეს პოზიტიურობა გამოვლინდა სამეცნიერო ურთიერთობისა და თანამშრომლობის იმ ინტენსიურ პროცესში, რომელიც თბილისს, ბაქოსა და ერევანს შორის არსებობდა.

კავკასიური ფილოსოფიის ცნებას არ აქვს მხოლოდ ვიწრო თეორიული ან სპეკულატიური დანიშნულება, არამედ ის ისეთი ცნებაა, რომელიც ეფუძნება კავკასიის რეგიონში არსებული ინტელექტუალური გარემოს ანალიზს და (გარდა ისტორიული ასპექტებისა) სისტემურ ელემენტებსაც მოიცავს. ფილოსოფიის საერთო სისტემური ელემენტები დიდ კავკასიელ მოაზროვნეებში ნათლად შეინიშნება, რაც იმის შესაძლებლობას გვაძლევს,

რომ კავკასიური ფილოსოფიური აზროვნების წყაროები ვეძიოთ. როგორც ზემოთ ითქვა, კავკასიური ფილოსოფია საკუთრივი (და)საწყისის მქონე ფილოსოფია არ არის, არამედ ის განასახიერებს ანტიკური ხანის ბერძნული ფილოსოფიისა და სხვა ფილოსოფიური ტრადიციების ათვისებისა და სინთეზის შედეგად შექმნილი თემატური პერსპექტივების სპექტრს.

კავკასიური ფილოსოფია ევროპაში

„კავკასიური ფილოსოფიის“ ცნება განსაკუთრებით ყურადსაღებია ინტერკულტურული ფილოსოფიის ქრილში. სწორედ ფილოსოფიურად გაგებული ინტერკულტურალიზმი აკავშირებს ფილოსოფიის სისტემურ და ისტორიულ ასპექტებს ერთმანეთთან, რაც სხვადასხვა ხალხთა და კულტურათა შორის ნაყოფიერი ფილოსოფიური დიალოგის საფუძველი შეიძლება აღმოჩნდეს. ამის შესახებ საგანგებოდ ვმსჯელობ ჩემს ნაშრომში – „პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში“ (თბილისი, 2014 წ.).¹⁸ ის კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში პითაგორას მოძღვრებას ეხება და კავკასიური ფილოსოფიური აზროვნების საერთო მახასიათებლებსა და თავისებურებებს პითაგორას მისტიკური მოძღვრების შუქზე განიხი-

18 თავდაპირველად, ამ საკითხის შესახებ მოხსენება ნავიკითხე ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც 2013 წელს გაიმართა და პითაგორასა და პითაგორეიზმს ეძღვნებოდა. ეს მოხსენება მოგვიანებით გამოქვეყნდა კიდევ ამ კონფერენციის მასალების მომცველ ვრცელ სამეცნიერო კრებულში. იხ. T. Iremadze, *The Pythagorean Doctrine in the Caucasus*, in: *Pythagorean Knowledge from the Ancient to the Modern World: Askesis, Religion, Science*, edited by A.-B. Renger and A. Stavru (*Episteme in Bewegung. Beiträge zu einer transdisziplinären Wissensgeschichte*, Bd. 4), Wiesbaden: Harrasowitz, 2016, pp. 411-422.

ლავს. ამავე ნაშრომში კავკასიური ფილოსოფიის პარადიგმატული ავტორების შესახებაც არის საუბარი და თავად კავკასიური ფილოსოფიის წიაღში მათი რეცეფციისა და ტრანსფორმაციის ისტორიის კონტურებიცაა მოხაზული.

კავკასიური ფილოსოფიის იდეას, სავარაუდოდ, გარკვეული წინააღმდეგობები შეხვდება კავკასიელ ხალხებში, რადგან ის ვინრო „ნაციონალური“ ფილოსოფიების ჩარჩოებს სცდება და ტრანსნაციონალური ფილოსოფიური დისკურსის საფუძვლებს ქმნის. მოსალოდნელი წინააღმდეგობები კი ასეთი სახისაა: ერთი მხრივ, სახეზეა სომეხთა და აზერბაიჯანელთა შორის მძიმე სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი, ხოლო, მეორე მხრივ კი, გარკვეული მენტალური წინააღმდეგობები და ცრურწმენები არსებობს თვითონ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს შორის. ცნობილია, რომ კავკასიაში მცხოვრებ არაერთ ერს არაკეთილისმოსურნე ურთიერთდამოკიდებულება აქვს ერთმანეთთან და მათი ინტელექტუალური მორიგება ან დაკავშირება უაღრესად რთული საქმეა. ამას ემატება კიდევ ერთი ფაქტი – კავკასიაში მცხოვრები და მოღვაწე „ნაციონალისტი“ ინტელექტუალების მცდელობა, მათივე „ნაციონალურ აზროვნებას“ მიანიჭონ უნიკალობა და ნაკლებად განიხილონ ის ერთიანი კავკასიური აზროვნების კონტექსტში.

კავკასიაში ნაციონალური ფილოსოფიების გარკვეულ სახესხვაობებთან გვაქვს საქმე, რაც მყარად არის აღბეჭდილი ადგილობრივ ვინრო-ეროვნულ ცნობიერებაში; ამისგან თავდახსნა და

განთავისუფლება უაღრესად რთული საქმეა. ვხედავთ, რომ ე.წ. „ნაციონალური ფილოსოფიების“ არსებობას თავისი გამართლება და ფაქტობრივი არგუმენტები აქვს, რომლებიც უდავოდ უნდა გავითვალისწინოთ კავკასიური ფილოსოფიის შესახებ მსჯელობისას. ფილოსოფია დაკავშირებულია ამა თუ იმ ერის ენასთან და ცნობიერებასთან, რადგან ის არ არის „ერის წყლულს“ განრიდებული საქმიანობა, მაგრამ ის საბოლოოდ ვერც ვინრო ნაციონალური აზროვნების ჩარჩოებში დარჩება. ამ საკითხს საგანგებოდ შევეხე რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ ჩემს მონოგრაფიაში „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე“ (თბილისი, 2013 წ.). ფილოსოფია – გარკვეულ დონეზე – ეროვნული ცნობიერებისა და აზროვნების „შენახვისა“ და „მოხსნის“ გზით ზენაციონალური დისკურსის წინაპირობებს ქმნის და აყალიბებს. ეს კარგად ჩანს ამა თუ იმ „ნაციონალური ფილოსოფიის“ რეცეფციისა და ტრანსფორმაციის მაგალითზე, როცა მას სხვა კულტურულ გარემოში უხდება არსებობის განგრძობა. ამის კარგი მაგალითია იტალიის ქალაქ ვენეციის მახლობლად ბერ მხითარ სებასტიელის (1676-1749 წწ.) მიერ 1717 წელს დაარსებული მხითარისტების ორდენი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სომხური აზროვნების განვითარებისა და ევროპაში მისი გავრცელების საქმეში. მხითარისტებმა სომხური ლიტერატურის არაერთი ძეგლი თარგმნეს ევროპულ ენებზე. სწორედ მხითარისტების ბეჯითი მუშაობის შედეგია ის, რომ სომეხი ფილოსო-

ფოსების, მწერლებისა და მოაზროვნეების შესახებ ცნობები ახალი დროის ევროპულ აზროვნებაში რიგიანად იყო წარმოდგენილი. მაგალითად, დავით უძღველის მოძღვრების შესახებ ევროპულ ფილოსოფიაში არაერთი გამოკვლევა და მონოგრაფია შეიქმნა; ეს კარგად აჩვენა პროფ. უდო რაინჰოლდ იეკმა თავის გამოკვლევებში კავკასიელი მოაზროვნეების შესახებ.¹⁹

შუა საუკუნეების დიდი ქართველი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის, იოანე პეტრიწის უმნიშვნელოვანეს შემოქმედებას კი მხოლოდ რამდენიმე ევროპელი ინტელექტუალი თუ იცნობდა გაკვირით. დიდ იშვიათობას წარმოადგენდნენ ისეთი ყაიდის ევროპელი მოაზროვნეები, რომლებიც ქართული ფილოსოფიური აზროვნების შესახებ სანდო ცნობებს ფლობდნენ. ასე რომ, დიდი გერმანელი ფილოლოგი და მითოლოგიის მკვლევარი ფრიდრიხ კროიცერი (1771-1858 წწ.) ამ მხრივ დიდი გამოწონაკლისი იყო, რადგან მან ზუსტად იცოდა პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საწყისების“ ქართული თარგმანისა და კომენტარის შესახებ, რომელიც იოანე პეტრიწის მიერ იყო შესრულებული.²⁰ XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ აზროვნე-

19 იხ. U. R. Jeck, "David armenius philosophus". Carl Friedrich Neumanns Verdienste um die Entdeckung der spätantiken Philosophie Armeniens, in: Bochumer Philosophisches Jahrbuch für Antike und Mittelalter 21 (2018), S. 49-84.

20 უ. რ. იეკი, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია XIX საუკუნის ევროპული აზროვნების კონტექსტში, გერმანულიდან თარგმნა გ. თავაძემ, კრებულში: ფილოსოფია და

ბაში კი სომხური ფილოსოფიის შესახებ ცნობები მხითარისტიების ორდენის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი. სომხური ფილოსოფია უფრო მეტად ინტეგრირებული აღმოჩნდა ახალი დროის ევროპის კულტურულ სივრცეში, ვიდრე თუნდაც შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნება, რომელმაც საკაცობრიო ფილოსოფიური კულტურა არაერთი მნიშვნელოვანი ორიგინალური ნაშრომითა თუ თარგმანით გაამდიდრა.

მიუხედავად ამ გამოკვლევებისა, დღემდე დიდ პრობლემად რჩება ქართული ფილოსოფიური აზროვნების ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, რადგან ამ კუთხით წინა საუკუნეებში მცირედი რამ თუ გაკეთებულა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ახალი დროის ქართული ფილოსოფიის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქის არაერთმა ცნობილმა ქართველმა მოაზროვნემ (სოლომონ დოდაშვილი, გაბრიელ ქიქოძე და სხვ.) უცხო (რუსულ) ენაზე შექმნა მთავარი ნაშრომები, მათი ექო რუსული იმპერიის ფარგლებს მაინც ვერ გასცდა, რადგან საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა და იმპერიის გუბერნიებად იყო დაშლილი. აქედან გამომდინარე, ქართველი ინტელექტუალების ძირითადი „საერთაშორისო“ სამეცნიერო ენაც რუსული იყო. აქ ნათლად იკითხება დაპყრობილი

თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში, კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2016 წ., გვ. 113-148.

ერისა და მისი კულტურის სვე-ბედი. მიუხედავად იმისა, რომ სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკას“ (1827 წ.)²¹ და გაბრიელ ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებს“ (1858 წ.)²² საკმაო გამოხმაურება მოჰყვა რუსულ პრესასა თუ სამეცნიერო პერიოდიკაში, ეს ნაშრომები და მათი ქართველი ავტორები თავდაპირველად მაინც რუს მეცნიერ-მკვლევრებად იყვნენ ცნობილი, რადგან ისინი რუსული იმპერიის სამეცნიერო ასპარეზზე იღვწოდნენ. გაბრიელ ქიქოძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომს ცნობილმა რუსმა საზოგადო მოღვაწემ და კრიტიკოსმა ნიკოლაი დობროლიუბოვმა (1836-1861 წწ.) სპეციალური რეცენზიაც (1859 წ.) კი უძღვნა ჟურნალ „სოვრემენნიკში“.²³ აღსანიშნავია ისიც, რომ ეს თხზულება საკმაო ხანი სასწავლო

21 იხ. Курсь философи. Часть первая. Логика. Сочинение Соломона Додаева-Магарскаго. Санкт Петербургъ: Въ Типографіи Александра Смирдина, 1827. იხ., ასევე, სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი თ. კუკავა, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2001 წ.

22 გაბრიელ ეპისკოპოსი, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, რუსულიდან თარგმნეს: ო. ტაბიძემ, თ. ბუაჩიძემ, ვ. გოგობერიშვილმა, თბილისი: „თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემა“, 1993 წ.

23 იხ. ნ. ა. დობროლიუბოვი, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თხზულება არქიმანდრიტ გაბრიელისა (ქიქოძისა), ჟურნალში: „მნათობი“, № 7 (თბილისი, 1943 წ.), გვ. 111-114. ამ საკითხის შესახებ, ასევე, იხ. თ. ბუაჩიძე, არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნის რეცენზენტი, წიგნში: თ. ბუაჩიძე, ფილოსოფიური ნარკვევები, ტ. II, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005 წ., გვ. 563-571.

სახელმძღვანელოდაც კი გამოიყენებოდა სემინარიებში.

არანაკლებ დიდი რეზონანსი მოჰყვა სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის“ სანკტ-პეტერბურგში გამოცემას, რეცენზენტები საგანგებოდ აქებდნენ ახალგაზრდა ქართველ ავტორს (იგი მაშინ მხოლოდ 22 წლისა იყო!) და მისი „ლოგიკის“ უპირატესობას უსვამდნენ ხაზს ეტიენ ბონო დე კონდილიაკისა და ფრიდრიხ ქრისტიან ბაუმანიტერის ლოგიკის სახელმძღვანელოებთან შედარებით; უფრო მეტიც, ფილოსოფიისა და ფილოსოფიური ლოგიკის შესასწავლად რეცენზენტები სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკას“ ანიჭებდნენ უპირატესობას.²⁴

ამდენად, ამ კუთხით უალრესად დიდი სამუშაოა შესასრულებელი ქართულ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში. შეიძლება ითქვას, რომ ახალი დროის ქართული ფილოსოფიისა და მისი მთავარი წარმომადგენლების შესახებ ცნობები დასავლურ ფილოსოფიაში უკიდურესად მწირია; ეს-ესაა დაინყო მათ შესახებ სამეცნიერო გამოკვლევების გამოქვეყნება უცხოურ ენებზე.²⁵

24 იხ. G. Tevzadze, Solomon Dodaschwili über die Bedingungen der menschlichen Freiheit, in: Die Idee der Freiheit in Philosophie und Sozialtheorie, unter Mitwirkung von H. Grabst herausgegeben von M. Beriaschwili und B. Mojsisch, Saarbrücken: Südwestdeutscher Verlag für Hochschulschriften, 2010, S. 155-175.

25 იხ. T. Iremadze, Die Rezeption der Aristotelischen Logik im georgischen Denken der Neuzeit: Anton Bagrationi und seine Aristoteles-Studien, in: Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens, Bd. 29 (Shaker Ver-

ამ ტიპის კვლევები ევროპული ფილოსოფიური ისტორიოგრაფიისთვისაც არის საყურადღებო, რადგან ახალი დროის ქართული ფილოსოფია ევროპული აზროვნების რეცეფციისა და ტრანსფორმაციის გზითაც ცდილობდა ახალი თეორიული მოდელების შექმნას. ამ მცდელობების შედეგად საფუძველი ჩაეყარა ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური აზროვნების პარადიგმატულ ტოპოსებს, რომელთა ახლებური კვლევა ინტერკულტურული ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის გადაუდებელ ამოცანად გვესახება.

lag, Aachen, 2006), S. 135-143; T. Iremadze, Antikes Wissen und modernes Bewußtsein als hermeneutisches Problem in der georgischen Philosophie des 18. Jahrhunderts: Anton Bagrationi und sein philosophisches Werk, in: Hermeneutik aus chinesischer und westlicher Perspektive. Gedenkschrift zum 10. Todesjahrs Hans-Georg Gadammers (1900-2002), hrsg. von Pan Derong, East China of Normal University, Shanghai, S. 197-206 (mit einer chinesischen Zusammenfassung); T. Iremadze, Teoria dello stato e teoria del diritto nell'Illuminismo georgiano (A. Amilachvari e J. Čilašvili), in: *Magazzino di Filosofia*, n. 33 (anno XI, 2018-2019), pp. 57-71; T. Iremadze, Staatsphilosophie und Rechtstheorie in der georgischen Aufklärung. Alexandre Amilakhvari und Jagor Tschilaschwili, in: *Etica, Politica, Storia universale. Atti del Congresso Internazionale (Urbino, 24-27 ottobre 2018)*, a cura di G. Rinaldi, G. Cerretani, Roma: Aracne editrice, 2020, S. 327-344.

ბოლოთქა

ახალი დროის ქართულ აზროვნებაში გვხვდება ბევრი ორიგინალური იდეა და შეხედულება. ეს ეპოქა საქართველოშიც, ფაქტობრივად, ევროპული აზროვნების სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, რის გამოც ვსაუბრობთ კიდევ ევროპეიზაციის პროცესის შესახებ ახალი დროის ქართულ აზროვნებაში. ახალი დროის ეპოქა ქართული აზროვნების ისტორიაში სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული შემოქმედებითა და მეცნიერული ძიებებით იწყება, კიდევ უფრო სრულყოფილ სახეს კი იძენს ანტონ პირველის, იონა ხელაშვილის, სოლომონ დოდაშვილისა და გაბრიელ ქიქოძის თეორიულ ნააზრევში.

ახალი დროის ევროპული აზროვნებისთვის დამახასიათებელი პროცესები (რუსეთის იმპერიის მხრიდან მავნე ზეგავლენის შედეგად!) ქართულ აზროვნებაში ისეთი სახით ვერ განხორციელდა, როგორც გერმანიაში ან საფრანგეთში, მაგრამ ევროპული აზროვნების მაგისტრალურმა ხაზმა (რუსეთის გზით) საქართველოშიც პოვა ასახვა. ამ პროცესს თან ახლდა ადგილობრივი სპეციფიკა, რის შედეგადაც ქართული და ევროპული სააზროვნო ტრადიციების გარკვეული სინთეზი განხორციელდა. ყოველივე ამას დაემატება რეგიონალური აზროვნების სპეციფიკა: კავკასიური აზროვნების როლიც ამ ერთგვარი ინტეგრაცი-

ის პროცესში მცირედი როდია! მაგალითად, იოანე ბატონიშვილი თავისი თხზულების, „კალმასობა“-ს იმ თავებში, რომლებიც იოანე პეტრინის ფილოსოფიას ეფუძნება, პეტრინის ორიგინალურ (ქართულ) ვერსიას კი არ იყენებდა, არამედ მისი ნაშრომის სომხური ენიდან თარგმნილ ქართულ ვერსიას. აი, ასეთი საინტერესო მიმართებაა ახალი დროის ქართულ აზროვნებაში უნივერსალური, რეგიონალური და ნაციონალური ასპექტებისა.

ახალი დროის აზროვნებაში ცოდნა სიხარულის მომგვრელი ინსტანციაა! იოანე ბატონიშვილის ზემოთ ნახსენებ თხზულებაში „კალმასობა“ ევროპული (განსაკუთრებით, ფრანგული) აზროვნების განმანათლებლური პათოსი კარგად არის შეჯერებული ქართული გარემოს აღქმასთან. ვფიქრობთ, რომ ის ევროპული ფილოსოფიური (და არა მარტო ფილოსოფიური!) სააზროვნო კონტექსტის მრავალ სპეციფიკას მოიცავს. ამ თხზულების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი არის „ხალასი ცოდნა“, ერთგვარი „სიბრძნე მალალობელი“, რომელიც გამოარჩევს ახალი დროის ქართული ფილოსოფიის განმანათლებლურ სულისკვეთებასაც.

იოანე ბატონიშვილი მის ხელთ არსებულ ცოდნას გადმოსცემს სისტემური სახით, გასაგებ ენაზე. ახალი დროის აზროვნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აზროვნების ენობრივი ასპექტი, რადგან იმ პერიოდში დაიწყო მეცნიერთა ენობრივი ემანსიპაციაც. აზროვნების ამა თუ იმ ტრადიციის ამალღებული და ბუნდოვანი სტილი, რომელიც ფილოსოფიურ აზროვნებაში ხშირად

გვხვდება, ახალი დროის განმანათლებელთა მიერ მძაფრ კრიტიკას განიცდის, რადგან სამეტიყველო და სამწერლო ენაც უფრო მეტად „ამქვეყნიური“, ადამიანთათვის უფრო მისაწვდომი უნდა გამხდარიყო. სხვათა შორის, სულხან-საბა ორბელიანი, ამ თვალსაზრისით, უნიკალური ფიგურაა ქართული აზროვნების ისტორიაში. მისი იგავების ენა აღბეჭდილია საოცარი ლაკონურობით, უაღრესად გასაგები და ნათელი სტილით. ეს კარგად ჩანს სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ პირველის თხზულებათა შედარებისას: ანტონ პირველი თავის ფილოსოფიურ თხზულებებს ამადლებული ენობრივი სტილით ქმნიდა, რაც ბევრისთვის უაღრესად რთულად გასაგები იყო.

ახალი დროის ქართველი მოაზროვნეები დგანან ტრადიციასა და ინოვაციას შორის. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო ტრადიციასთან, მაგრამ, ამასთანავე, ნოვატორებიც არიან. უნდა ითქვას, რომ მათი აზროვნების დახასიათება მაინც ამ ქრილშია ყველაზე მეტად ადეკვატური. ისინი არიან ტრადიციის დამფასებლები, მაგრამ ამ ტრადიციის გაცოცხლებას და განვითარებას ცდილობენ ინოვაციების შემოტანით, მათ შორის, ახალი სააზროვნო პარადიგმების დანერგვით ქართულ აზროვნებაში. ისინი, ამასთანავე, ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური მიმართულების დამწერგავი სწავლულები არიან ქართულ აზროვნებაში, რადგანაც მათ ბერძნული, სომხური, რუსული და გერმანული სიბრძნისმეტყველების გარკვეული მიმართულებები ერთმანეთთან თანხმობაში მოიყ-

ვანეს და ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგი დააკავშირეს ერთმანეთს. ჭეშმარიტი ინტერკულტურულობა ევროპული და აღმოსავლური კულტურების დიალოგის სახით რომ უნდა განხორციელდეს, ესეც კარგად ესმოდათ ახალი დროის ქართული ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. მათი მოღვაწეობის შედეგად ქართულმა ფილოსოფიამ საერთო საკაცობრიო განზომილება შეიძინა. აქ ქართული აზროვნების იმგვარი საწყისები გამოიკვეთა, რომლებიც დღემდე არ არის ჯეროვნად განხილული და შეფასებული. ასე რომ, ეს ტრადიცია სამომავლო კვლევა-ძიების საგანია.

SUMMARY

This book aims to highlight the specifics of one of the most important periods of Georgian thought, i. e., Early Modern Georgian philosophy (17th-19th centuries). It is well known that Georgian philosophy is distinguished by a number of peculiarities. This work highlights these features. It discusses the main aspects of Early Modern Georgian philosophy, which show that it is, as both to content and to form, a new stage of Georgian thought that occupies a rightful place in the history of philosophy.

The work consists of a Foreword, three extensive Parts (which, in turn, contain many chapters), and an After-word. The book includes also an extensive index of persons and subjects, as well as a bibliography of the works of the author of this book on Early Modern Georgian philosophy and its main figures.

I. In the first part of the book ("Methodological Considerations"), first of all, one of the main features of Georgian philosophy is discussed, namely, its beginning or, rather, beginnings. This is because Early Modern Georgian philosophy, like Georgian philosophy in general, does not have its own beginning, but is the outcome of a tradition that originated in the heart of Christianity, on the basis of the fusion of ancient Greek philosophy and the Christian worldview, and is essentially a Christian philosophy. This idea is dominant

in the book, as the specific features of Early Modern Georgian philosophy are presented on the basis of the analysis of the Christian worldview of the prominent figures of that time. These specific features set out in the book allow its author to outline the character of Early Modern Georgian thought by using a systemic-historical approach.

The work analyzes the main methods and tools of Early Modern Georgian thought. One of such methods is the model based on tradition and innovation. By discussing the views of some important Georgian thinkers, it shows how in Early Modern Georgian thought the traditional concepts of philosophy were assimilated and mastered, interpreted and transformed. When discussing philosophical methodology, we meet with some so-called "methodological superstitions", which saw to it that the main goals, objectives and narratives of Early Modern Georgian philosophy were incorrectly presented in Georgian philosophical historiography.

In the book, Early Modern Georgian philosophical thought is also discussed in the context of the Early Modern European one. The Georgian philosophy of this period was enriched with useful translations of many important texts of the European philosophy of that time. Through the contextual analysis of these translations, on the one hand, the character of Georgian philosophy in relation to European thought is emphasized, and, on the other hand, the tendencies of development of various fields of philosophy in Early Modern Georgian thought are shown. Georgian translations of the works of Gottfried

Wilhelm Leibniz, Samuel Clark, Friedrich Christian Baumeister, Voltaire, Étienne Bonnot de Condillac, and many other European authors allow us to identify the specific fields of Early Modern Georgian philosophy.

The first part of this book also shows one of the most important features of Early Modern Georgian philosophical thought, this being an attempt to combine the theoretical and the practical aspects of thinking. In Early Modern Georgian philosophy this was an urgent issue. A contextual evaluation of the works of Anton Bagrationi, Iona Khelashvili and Gabriel Kikodze clearly shows how the prevalent role played by Christian philosophy in the Georgian thought of this period consisted in combining the key aspects of theoretical thinking and practical work. In the same context, a qualitative analysis of the leading models of Early Modern European thought is carried out for further contextual discussion.

The specifics of educational work in Early Modern Georgian thought are especially discussed in the book. As a result of the analysis of the educational activity of that time, the peculiarities of Early Modern Georgian philosophical thought and of Georgian educational system are shown. This system was formed according to European philosophy, which confirms once again the European character of Georgian thought. When discussing the Georgian philosophy of this period, the traces of the reception and transformation of the major ideas and concepts of Early Modern European thought (e.g., the problem of Theodicy) are clearly visible in it.

II. The second part of the book ("New Models of Thought") deals with specific models of Early Modern Georgian thought. It discusses in detail the fields and subfields of philosophy that were relevant in Early Modern Georgian thought. Here, special attention must be paid to one of the main fields of philosophy, metaphysics, which, under the influence of Christian philosophy, was the dominant trend of Georgian thought in that period. For this purpose, the work discusses some books of Georgian thinkers such as Anton Bagrationi's "Spekali", Iona Khelashvili's "Book of Thirty-Four Questions", etc. In the present book, the author describes also the Georgian translations of European philosophical texts of that time such as Charles Louis de Montesquieu's "The Spirit of Laws", the Leibniz-Clark correspondence, Friedrich Christian Baumeister's "Metaphysics", etc. Special attention is paid to philosophical logic, which acquired the status of one of the main fields of Georgian philosophical and theological thought of that time. Logic as a doctrine of the rules and laws of right thinking was used as the most important tool for the effective implementation of pedagogical theories. The book emphasizes the importance of the original Georgian tradition of logical thought and of works concerning logic (e.g., Anton Bagrationi's "Categoria Simetnei", David Bagrationi's "Catigoria Shemoklebuli", Solomon Dodashvili's "Logica", etc.), as well as of the Georgian translations of foreign logical texts from different languages including Armenian. Among the main branches of Early Modern

Georgian philosophy there is also ethics, which was mainly set out in Georgian translations of ethical texts from European languages. This book offers a review of the Georgian translations of the works of Friedrich Christian Baumeister, Jean Pierre Frederic Ancillon, Adam Ferguson and others, and shows the development of this field in Early Modern Georgian philosophy.

The second part of the book discusses the original Georgian works on the philosophy of law and of politics (Alexander Amilakhvari's "Sage of the East" and Iagor Chilashvili's "Short Outline of Natural Law"), as well as on philosophical anthropology, the development of which is associated with the Bishop of Imereti Gabriel Kikodze (1825-1896), who developed an original conception of philosophical anthropology, according to which man is understood as a religious being.

In the second part of this book, special attention is also paid to the analysis and discussion of the models of knowledge in Early Modern Georgian thought. The theoretical and practical work of Sul Khan-Saba Orbeliani (1658-1725), Anton I (1720-1788), Iona Khelashvili (1778-1837) is especially highlighted in it. On the basis of a new understanding of Sul Khan-Saba Orbeliani's pedagogical work, his important attempts to systematize theoretical and practical knowledge are set out, and this great Georgian follower of Enlightenment is discussed in the context of the European Encyclopedists. Sul Khan-Saba Orbeliani's model of systematization of knowledge is an important moment in Early Modern Georgian philosophy and enriches it qualitatively. This part of the

book discusses the work of Anton I in the context of the renewal of Georgian thought and of "Europeanism". The importance of the seminaries founded by Anton in Tbilisi (1755) and Telavi (1782), which made a great contribution to the process of establishing a unified Georgian educational system, is especially emphasized in this book. Philosophical theology played a major role in Early Modern Georgian philosophy. A clear example of this is the philosophical and theological work of Iona Khelashvili. Focusing on Iona Khelashvili's thought, including his relationship with a number of European thinkers, the author gives the reader the opportunity to get acquainted with the specific features of one of the most important trends of Early Modern Georgian philosophy.

III. The third part of the book ("The Context of Caucasian Philosophy") unfolds a new concept of Early Modern Georgian philosophical historiography, namely, that of Caucasian philosophy, which is based on the analysis of Georgian-Armenian philosophical relations in Early Modern Georgian thought. This historiographical concept is first legitimized, and its importance is then stressed regarding the future intellectual perspectives of the Caucasian peoples. This part of the book is an attempt to highlight the space for dialogue in a multiethnic and multicultural Caucasus, based on the best form of dialogue between people in general - philosophy. It also shows that a new term/concept in the history of philosophy such as "Caucasian Philosophy" is legitimized by the intersecting theoretical work of

Medieval and Early Modern Georgian thinkers, and is based on the trans-cultural and transnational evaluation of their thought. However, it should also be noted that owing to the small number of Medieval Armenian and Georgian philosophical texts, which is due to the fact that many documents of the Caucasian philosophy of this period are lost, we cannot fully describe the nature of Medieval Caucasian philosophy. As a consequence, this philosophical concept needs to be strengthened by taking into account Early Modern Georgian thought and its trans-cultural and transnational dimension. The translations by Anton I and his philosophical school, in collaboration with Armenian philosophy, give us the opportunity to frame this new concept of Caucasian philosophy and to legitimize it both from a philosophical and from a historiographical viewpoint.

In conclusion, one can say that this book aims to present the specifics of Early Modern Georgian philosophical thought and to show its originality. It is for this purpose that the new approaches and assessments of the Georgian philosophical thought of this epoch are set out in it, which allows us to see Early Modern Georgian thought from a new angle, i. e., in the context of European and Caucasian philosophical thought.

ბიბლიოგრაფია

თენგიზ ირემაძის შრომები ახალი დროის ქართული ფილოსოფიის შესახებ

(ა) ქართულენოვანი ნაშრომები

ანტიკურობისა და ბიზანტიის ფილოსოფიური ტრადიცია ანტონ ბაგრატიონის შემოქმედებაში, *კრებულში*: ბიზანტინოლოგია საქართველოში – 3, ეძღვნება აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს, ტ. I, რედაქტორები – ნ. მახარაძე, ნ. სულავა, თბილისი: „ლოგოსი“, 2011 წ., გვ. 235-241.

არისტოტელეს ლოგიკის გაგებისათვის ახალი დროის ქართულ აზროვნებაში: ანტონ ბაგრატიონი და მისი არისტოტელური ნარკვევები, *კრებულში*: შემეცნება და ზნეობა. ფილოსოფიური წერილები. ეძღვნება ლერი მჭედლიშვილის 75 წლის იუბილეს, რედაქტორები – თ. ირემაძე, თ. ცხადაძე, გ. ხეოშვილი, თბილისი: „ნეკერი“, 2012 წ., გვ. 46-56.

ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, *ჟურნალში*: „უფლის ციხე“. საქართველოს საპატრიარქო, № 2 (თბილისი, 2012 წ.), გვ. 58-64.

ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2013 წ. (მონოგრაფია).

იონა ხელაშვილის ფილოსოფიური ღვთისმეტყველება, *ჟურნალში*: „უფლის ციხე“. საქართველოს საპატრიარქო, № 3 (თბილისი, 2014 წ.), გვ. 91-96.

ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე), კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ.

ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი თავისებურებანი, *კრებულში*: ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე), კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., გვ. 9-14.

ანტონ ბაგრატიონი (1720-1788 წწ.). ფილოსოფიური შემოქმედება, *კრებულში*: ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე), კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., გვ. 52-63.

დავით ბაგრატიონი (1767-1819 წწ.). ბუნების ფილოსოფია, ლოგიკა და მეტაფიზიკა, *კრებულში*: ახალი

დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე), კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., გვ. 74-80 (თანაავტორი – უდო რაინჰოლდ იეკი).

იაგორ ჭილაშვილი (1792-1838 წწ.). სამართლის ფილოსოფია, კრებულში: ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე), კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., გვ. 91-100 (თანაავტორი – უდო რაინჰოლდ იეკი).

პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2014 წ. (მონოგრაფია).

თავისუფლების იდეის ბედი საბჭოთა საქართველოს ფილოსოფიაში, კრებულში: თავისუფლების იდეა ფილოსოფიაში, თეოლოგიასა და სოციალურ მეცნიერებებში, კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2016 წ., გვ. 204-217.

ნეტარი ავგუსტინე და ქართული აზროვნება, კრებულში: ნეტარი ავგუსტინე – ქრისტიანობის მასწავლებელი, კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2017 წ., გვ. 9-37.

(ბ) უცხოენოვანი ნაშრომები

- Die Rezeption der Aristotelischen Logik im georgischen Denken der Neuzeit: Anton Bagrationi und seine Aristoteles-Studien, in: *Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens*, Bd. 29 (Aachen: Shaker Verlag, 2006), S. 135-143.
- Antikes Wissen und modernes Bewußtsein als hermeneutisches Problem in der georgischen Philosophie des 18. Jahrhunderts: Anton Bagrationi und sein philosophisches Werk, in: *Hermeneutik aus chinesischer und westlicher Perspektive. Gedenkschrift zum 10. Todesjahrs Hans-Georg Gadammers (1900-2002)*, hrsg. von Pan Derong, East China of Normal University, Shanghai, 2014, S. 197-206.
- The Pythagorean Doctrine in the Caucasus, in: *Pythagorean Knowledge from the Ancient to the Modern World: Askesis, Religion, Science*, edited by A.-B. Renger and A. Stavru (Episteme in Bewegung. Beiträge zu einer transdisziplinären Wissensgeschichte, Bd. 4), Wiesbaden: Harrasowitz, 2016, pp. 411-422.
- Teoria dello stato e teoria del diritto nell'Illuminismo georgiano (A. Amilachvari e J. Čičašvili), in: *Magazzino di Filosofia*, n. 33 (anno XI, 2018-2019), pp. 57-71.
- Staatsphilosophie und Rechtstheorie in der georgischen Aufklärung. Alexandre Amilakhvari und Jagor Tschilaschwili, in: *Etica, Politica, Storia universale. Atti del Congresso Internazionale (Urbino, 24-27 ottobre 2018)*, a cura di G. Rinaldi, G. Cerretani, Roma: Aracne editrice, 2020, S. 327-344.

სახელთა საძიებელი

- ალექსანდრე I 86
ალექსანდრე ნეველი 86
ამილახვარი, ა. 54-56
ანსილიონი, უ. პ. ფ. 38, 53
ანტონ პირველი (ბაგრატიონი) 17-21, 29-31, 34, 36-38, 42,
48-51, 64, 76-82, 85, 93-94, 97-98, 113, 115, 125-126
არისტოტელე 13, 20, 41, 50, 52, 100, 125
არსენ იყალთოელი 66, 94
არქიმანდრიტი გაიოზი / გაიოზ ეპისკოპოსი 52
ასათიანი, ლ. 16, 43
- ბაუმისტერი, ფ. ქ. 38, 48, 50-51, 78-80, 110
ბაუმგარტენი, ა. გ. 53
ბერთოლდ მოსბურგელი 74
ბიორკი, ე. 53
ბუაჩიძე, თ. 109
- გამსახურდია, ზ. 17
გიორგი XII 57, 85-86
გიორგი მერჩულე 24
გოგატიშვილი, მ. 31
გოგობერიშვილი, ვ. 109
გრიგოლ ხანძთელი 24
გურამიშვილი, დ. 19, 76
- დავით ბატონიშვილი (ბაგრატიონი) 15-16, 19, 27, 34, 36, 38,
49, 53, 56-57, 59-60, 86, 126
დავით უძლეველი 49-50, 97, 107
დარვინი, ჩ. 61
დედაბრიშვილი, გ. 84-85

სახელთა საძიებელი

დეკარტი, რ. 63
დობროლიუბოვი, ნ. 109
დოდაშვილი, ს. 19, 34, 49, 108-110, 113

ერეკლე II 55
ეფრემ მცირე 66, 95

ვახტანგ VI 32, 85
ვახუშტი ბატონიშვილი 50
ვოლტერი 16, 41-43, 59/60
ვოლფი, ქ. 36, 40, 42, 78-79, 81

ზაქარაძე, ლ. 30, 66

თავაძე, გ. 107
თალესი 13
თეიმურაზ ბატონიშვილი 52
თომა აქვინელი 74

იეკი, უ. რ. 107, 120
ილია ბაგრატიონი 43
იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) 19, 29, 31, 34, 36-38, 50-51,
57, 84-86, 114
იოანე დამასკელი 20, 31, 44, 71, 94
იოანე პეტრიწი 27, 66, 70, 97-98, 107, 114
ირემაძე, თ. 8-9, 15, 30-31, 37, 47, 54, 64-67, 108, 125-127
ისიდორ სევილიელი 73-74

კანტი, ი. 56, 60
კეკელიძე, კ. 29, 80
კლარკი, ს. 43-44, 60
კონდილიაკი, ე. ბ. დე 38, 50, 110
კოპალეიშვილი, ნ. 9
კროიციერი, ფ. 107
კუკავა, თ. 109

- ლაბუჩიძე, დ. 37
 ლაიბნიცი, გ. ვ. 36, 40-44, 78-79, 81
- მაბლი, გ. ბ. დ. 59
 მამაცაშვილი, ი. 38, 50, 52, 54
 მარკუს ავრელიუსი 52
 მაქსიმე აღმსარებელი 20, 95
 მაშავა, ბ. 9
 მახარაძე, ნ. 125
 მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი) 83
 მონტესკიე, შ. ლ. დე 38, 53, 56-57, 59
 მოსე ბიბლ. 83
 მჭედლიშვილი, ლ. 125
 მხითარ სებასტიელი 106
- ნემესიოს ემესელი 70/71
 ნეტარი ავგუსტინე 120
 ნიუტონი, ი. 43-44
 ნუცუბიძე, შ. 40
- პითაგორა 100, 104
 პლატონი 13, 20, 31, 41, 100
 პროკლე დიადოხოსი 27, 74, 94, 98, 100, 107
- რუსო, ჟ. ჟ. 38, 51, 60
- სარგის თმოგველი 17
 სიმეონ ჯულაეცი 50, 97
 სნელე, ფ. ვ. დ. 38, 50-51, 53
 სოკრატე 13, 20, 31, 84
 სოლომონ I 55
 სოლომონი ბიბლ. 55
 სულავა, ნ. 125
 სულხან-საბა ორბელიანი 19, 34, 68-76, 85, 113, 115

ტაბიძე, ო. 109

ფარნავაზ ბატონიშვილი 51

ფერგოუსონი, ა. 38, 51

ფრიდრიხ ვილჰელმ IV 53

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, 95, 101

ქიქოძე, გ. 19, 35-36, 60-64, 108-109, 113

ყაითმაზაშვილი, ფ. 49-50

შანშოვანი, ზ. 49

შოთა რუსთაველი 17-18

შტრაუსი, ლ. 67

ჩერქეზიშვილი, დ. 49-50

ციციშვილი, დ. 38, 48-49

ცხადაძე, თ. 125

წერეთელი, გ. 125

ჭავჭავაძე, ი. 100

ჭილაშვილი, ი. 57-59, 127

ხელაშვილი, ი. 19, 29-31, 34, 36, 43-44, 48, 64, 83-87, 113, 126

ხეოშვილი, გ. 125

ხუროშვილი, გ. 54, 67

ჰეგელი, გ. ვ. ფ. 41

ჰერაკლიტე 13

Amilachvari, A. / Amilakhwari, A. / Amilakhvari, A. 54, 111, 121, 128

Ancillon, J. P. F. 121

Anton Bagrationi 110-111, 119-123, 128

Baumeister, F. C. 119-121

Beriaschwili, M. 110

Cerretani, G. 111, 128

Čilašvili, J. / Chilashvili, I. / Tschilaschwili, J. 54, 111, 121, 128

Clark, S. 119-120

Condillac, E. B. d. 119

David 107

David Bagrationi 120

Derong, P. 111, 128

Dodaschwili, S. / Dodashvili, S. 110, 120

Ferguson, A. 121

Gadamer, H.-G. 111, 121

Grabst, H. 110

Iremadze, T. 54, 104, 110-111

Jeck, U. R. 107

Khelashvili, I. 119-122

Kikodze, G. 119, 121

Leibniz, G. W. 118/119, 120

Mojsisch, B. 110

Montesquieu, C. L. de 120

Neumann, C. F. 107

Renger, A.-B. 104, 128

Rinaldi, G. 111, 128

Stavru, A. 104, 128

Sulkhan-Saba Orbeliani 121

Tevezadze, G. 110

Voltaire 119

Додаев-Магарский, С. 109

Смирдин, А. 109

საბანთა საკიბელი

- ადრეული შუა საუკუნეების ქართული აზროვნება 24
ათეისტი 15-17
ალეთეიოლოგიური მოძღვრება 40/41
ანთროპოლოგია 61
ანტიკური ფილოსოფია 78, 94, 96
ანტიკური ხანის ნეოპლატონიზმი 100
არითმეტიკა 86
ახალი დროის აზროვნება 114
ახალი დროის ევროპული აზროვნება 37, 78, 107, 113
ახალი დროის სომხური ფილოსოფია 94
ახალი დროის ფრანგული ფილოსოფია 36
ახალი დროის ქართული ფილოსოფია/აზროვნება 7-9, 15,
17-19, 22-23, 26-27, 29, 31-33, 35-40, 42-43, 47-52, 54,
57, 64, 69, 75-76, 82-85, 87/88, 93-94, 108, 110-111,
113-114, 116, 118-120
ახალი დროის ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველება
7, 9, 15
- ბერძნული ფილოსოფია 14, 23, 98, 103
ბიბლესტიკა 86
ბუნებითი სამართალი 57-58
ბუნებითი ღვთისმეტყველება 48
- განმანათლებლობა 53
განმანათლებლური პათოსი 32
გერმანული სასკოლო ფილოსოფია 36, 40, 48, 78, 81
გვიანანტიკური ფილოსოფია 49
გზაგასაყარი 30, 65-67, 86, 106, 119
გრამატიკა 81, 86
- დასავლური ფილოსოფია 26, 110

საბანთა საკითხავალი

დიალექტიკა 29, 49-50, 94
დოგმატიკა 86

ევოლუციის თეორია 61
ევროპეიზაცია 82, 113
ევროპეიზმი 37, 76
ევროპული ფილოსოფია/ფილოსოფიური აზროვნება 26, 36,
39, 47, 51, 61, 79, 92, 99, 107, 111, 113
ეთიკა 39, 47, 51, 61
ექლექტიკური ფილოსოფია 53
ენციკლოპედია 71-74
ენციკლოპედისტი 37-38
ესთეტიკა 47, 51-53

ვოლტერიანობა 16, 38, 43

თარგმანებად 26
თეისტი 16
თეოდიცეა 40-42
თეოლოგია 60, 108, 120

ინოვაცია 20, 77, 115
ინტერკულტურული ფილოსოფია 104
ისტორიოგრაფიული კატეგორია 22-23, 99

კავკასიური სახლი 100
კავკასიური ფილოსოფია 89, 91-94, 96-106, 120
კოპერნიკისებური გადატრიალება 61
კოსმოლოგია 48

ლექსიკოლოგია 86
ლოგიკა 39, 41, 47, 49-50, 60, 109-110, 118-119

მეტაფიზიკა 39-40, 44, 47-48, 82, 119
მიკროკოსმოსი 67

მშვიდობის ფილოსოფიური პრინციპი 33

ნაციონალური ფილოსოფია 99, 105-106

ნეიროფილოსოფია 61

ონტოლოგია 48

პარადიგმატული მეტაფორა 66

პარადიგმატული ტოპოსი 111

პნევმატოლოგია 48

პოლიტიკის/პოლიტიკური ფილოსოფია 47, 54-57

რაციონალისტური მეტაფიზიკა 44

რეცეფცია 14, 20, 22, 40, 105-106, 111

რეცეფცია/ათვისება/ასახვა 14

რიტორიკა 86

რომანტიზმი 53

რუსთველოლოგია 17-18

საბჭოთა ფილოსოფია 102

საგანმანათლებლო სპეციფიკა 26

სამართლის თეორია 57

სამართლის ფილოსოფია 47, 54, 57, 120

სალმრთო ისტორია 86

სომხური ფილოსოფია 108

ტრადიცია 14, 18, 20, 25, 30, 60, 64, 76-78, 88, 100, 103,
113-116, 118

ტრანსნაციონალური ფილოსოფიური დისკურსი 93, 105

ტრანსფორმაცია 14, 22, 26, 105-106, 111

ტრანსფორმირება/გათავისება/გარდასახვა 14

ფიზიკა 82

ფილოსოფიური აზროვნების საკუთრივი დასაწყისი 13-14,
23, 103

საბანთა საძიებელი

- ფილოსოფიური ანთროპოლოგია 47, 60, 62
ფილოსოფიური გრამატიკა 81
ფილოსოფიური ისტორიოგრაფია 22, 92, 96-97, 110-111
ფილოსოფიური კლიმატოლოგია 57
ფილოსოფიური კომპენდიუმი 21
ფილოსოფიური ღვთისმეტყველება 30, 36, 44, 64, 67, 78, 83-85, 87-88, 119
ფრანგული აზროვნება 38
ფრანგული განმანათლებლობა 60
ფსიქოლოგია 48, 60, 109
- ქართული აზროვნება 13, 60, 65, 68, 76-78, 113-116, 120
ქართული ფილოსოფია 8, 13, 19, 22-23, 32, 35, 60, 64, 97
ქართული ფილოსოფიური აზროვნება 14, 24, 84, 107-108
ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველება 84, 86
ქართული ქრისტიანული აზროვნება 87
ქართულ-სომხური ფილოსოფიური ურთიერთობები 36, 93-94, 98
ქრისტიანული მეტაფიზიკა 44
ქრისტიანული ნეოპლატონიზმი 100/101
ქრისტიანული ფილოსოფია 9, 13, 21, 26, 35-36, 40, 64, 86, 94, 96
- ღვთისმეტყველება 65-66, 86
- შუა საუკუნეების ქართული აზროვნება 24, 47
შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია 8, 66, 94, 107-108
- ცხოველთა ეთიკა 61

ავტორის შესახებ

თენგიზ ირემაძე არის ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი და ამ-
ავე უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და
თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორი. ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მან მიიღო ბოხუმის რურის უნივერსიტეტში (გერმანია). მისი კვლევის სფეროებია: ქართული და ევროპული ფილოსოფია, კავკასიური ფილოსოფია, ომის და მშვიდობის ფილოსოფია, სოციალური თეორიები. იგი არის „სტენფორდის ფილოსოფიური ენციკლოპედიის“ ერთ-ერთი ავტორი და არაერთი ფილოსოფიურ-ლიტერატურული საზოგადოების წევრი. მისი სამეცნიერო გამოკვლევები გამოქვეყნებულია ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ, ბულგარულ, პოლონურ და უკრაინულ ენებზე. თენგიზ ირემაძის მთავარი ნაშრომებია: „აზროვნების კონცეფციები ნეოპლატონიზმში. პროკლეს ფილოსოფიის რეცეფციის შესახებ ქართულ და გერმანულ შუა საუკუნეებში: დიტრიხ ფრაიბერგელი – ბერთოლდ მოსბურგელი – იოანე პეტრინი“ (გერმანულ ენაზე, ამსტერდამი – ფილადელფია, 2004 წ.); „ფრიდრიხ ნიცშე. „ესე იტყოდა ზარატუსტრა“: ტექსტი და კონტექსტი“ (თბილისი: „ნეკერი“, 2006 წ.); „ვალტერ ბენიამინი. ცხოვრება, მოღვაწეობა, აქტუალობა“ (თბილისი: „ნეკერი“, 2008 წ.); „ფილოსოფია ეპოქათა და

კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები“ (თბილისი: „ნეკერი“, 2013 წ.); „ალეთეოლოგიური რეალიზმი. შალვა ნუცუბიძე და მისი აზროვნების ახლებური საწყისები“, გერმანულიდან თარგმნა გ. თავაძემ (თბილისი: „ნეკერი“, 2013 წ.); „პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში“ (თბილისი: „ნეკერი“, 2014 წ.); „ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია და მისი გაგების პერსპექტივები“ (თბილისი: „ნეკერი“, 2015 წ.); „შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად“ (თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2019 წ.).

ABOUT THE AUTHOR

Tengiz Iremadze is Professor of Philosophy at New Georgian University and the Director of the Archive of Caucasian Philosophy and Theology. He earned his Doctorate degree at the Ruhr-University of Bochum (2003). His areas of interest include Georgian and European Philosophy, Caucasian Philosophy, the Philosophy of War and Peace, and Social Theory. He is the author of *Medieval Georgian Philosophy. A Systematic Outline to Understand its Specifics* (Tbilisi: "Favorite Style", 2019, in Georgian), *Friedrich Nietzsche's Philosophy and Perspectives of its Interpretation* (Tbilisi: Publishing House "Nekeri", 2015, in Georgian), *Pythagoras in the Context of Caucasian Philosophy* (Tbilisi: Publishing House "Nekeri", 2014, in Georgian), *Philosophy at the Crossroads of Epochs and Cultures* (Tbilisi: Publishing House "Nekeri", 2013, in Georgian), *Walter Benjamin. Life, Work, Actuality* (Tbilisi: Nekeri Publishing House, 2008, in Georgian), *Der Aletheiologische Realismus. Schalwa Nuzubidse und seine neuen Denkansätze* (Tbilisi: Publishing House "Nekeri", 2008, in German. – 2013: in Georgian), *Friedrich Nietzsche. "Also sprach Zarathustra": Text and Context* (Tbilisi: Nekeri Publishing House, 2006, in Georgian), *Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg – Berthold von Moosburg – Joane Petrizi* (Bo-

ABOUT THE AUTHOR

chumer Studien zur Philosophie, Bd. 40, Amsterdam – Philadelphia: B. R. Grüner Publishing Company, 2004). He has edited more than 70 books and published numerous articles. His works has been translated into 7 languages. He is a member of *The International Society for the Study of Medieval Philosophy*, *Lessing-Akademie*, *International Association of Patristic Studies*, and *Ernst-Meister-Gesellschaft*. He is the founder and current editor of 5 scientific series.

ISBN 978-9941-8-2898-0



9 789941 828980